გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N6 (9150) 28 თებერვალი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

## გუბერნატორი გუბერნატორის წილ



2

## ლამანშის სრუტე გაცურდა და...

2

## ცენტრებიდან ოთხივე მიმწოდებლის ვინაობა ცნობილია

8

## ვწეროთ და ვიმეტყველოთ გამართული ქართულით

## თუ სოფელს არ ვუშველით, ისინიც დატოვებენ იქაურობას, ვინც დარჩნენ



9

## ეროსი მანჯგალაძე _ 90

ცხოვრობს თეატრში და თეატრის მიღმა

3




## “როგორც კი გავიგე, კახი კენჭს იყრიდა, მაშინვე მასთან მივედი”

6

## მთელი ცხოვრება ვსწავლობ, როგორ ვასწავლო ბავშვებს



8

## „გოლიათი მეცნიერი” მუზეუმი უნდა ჰქონდეს მშობლიურ სოფელში




3

## როცა ქალაქს ერთად ყოფნა შეუძლია

5

4

## ვარ სევდიანი და ვარ ბედნიერი!

დიდი თურქობა საქართველოში...

4

# გუბერნატორი გუბერნატორის წილ

**თეა ბაბუნაშვილი**

რამდენიმე დღის წინ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა გადადგომის შესახებ განცხადება იმერეთის უკვე ყოფილმა გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა. აღნიშნა, რომ ბოლო ექვსი თვეა განიხილებოდა მისი გადადგომის საკითხი. როგორც თავად აცხადებს, ეს მეფარიშვილის პირადი განცხადების საფუძველზე ხდებოდა. წასვლის მიზეზად მას პროფესიულ საქმიანობაზე დაბრუნება მოჰყავს. ''რამდენჯერმე მივმართე განცხადებით ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, დავბრუნებოდი ჩემს პროფესიულ საქმიანობას. არსებულ ვითარებაში მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი არის დროული და ხელს შეუწყობს როგორც იმერეთის რეგიონის განვითარებას, ასევე მიმდინარე პროცესების ეფექტურ წარმართვას.'' მეფარიშვილი აღნიშნავს, რომ ამ პოსტზე მუშაობის წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში გარშემომყოფების მეშვეობით ჩამოაყალიბა პროფესიონალთა გუნდი. 2014 წლის მაჩვენებლებით, იმერეთის გუბერნიის ადმინისტრაცია მოწინავეთა რიგებში იყო გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით. ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების გათვალისწინებით კი, საუკეთესო. მადლობა გადაუხადა პრემიერსა და მის ყოფილ კოლეგებს და იმედი დაიტოვა, რომ მოსალოდნელი საკადრო ცვლილება ახალი ხედვების და წარმატებების მომტანი იქნება, განსაკუთრებით საინვესტიციო სფეროში რეგიონის მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივით.

ზაზა მეფარიშვილმა იმერეთის გუბერნატორის პორტფელი 2013 წლის 13 დეკემბერს ჩაიბარა. მანამდე კი მას, სტუდენტობის წლებში საზ-კვების გაერთიანებაში დაწყებული სტუდენტური პრაქტიკიდან მოყოლებული, ქუთაისის აბრეშუმკომბინტში, შპს ''ფავორიტში'' ფინანსურ მენეჯერად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, ფინანსური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, შპს ''ალზას'' ფინანსურ მენეჯერად, ''საქართველოს ბანკში ''პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, შსს სუს დასავლეთის რეგიონალური მთავარი სამმართველოს უფროსად მუშაობის გამოცდილება აქვს.

ოპოზიცია მის გადადგომას ღარიბაშვილის კადრების ''მოცილებას'' უკავშირებს.

გუბერნატორის მოვალეობის შესრულება ალექსანდრე იოსებაშვილს, რომელსაც გუბერნატორის მოადგილის პოზიცია უკავია, სულ ნახევარი დღით მოუწია, რადგან გადამდგარი გუბერნატორის წილ იმერეთში მეორე დღესვე გუბერნატორად, ვაკის რაიონის ყოფილი გამგებელი გივი ჭიჭინაძე დაინიშნა. ''იმერეთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეგიონია. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გააკეთებთ, რათა ხალხის და მთავრობის მიერ გამოცხადებული ნდობა გაამართლოთ''. _ ამ სიტყვებით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტს მისი კანდიდატურა წარუდგინა.





''თანამდებობა მარტო უფლებამოსილება და პირადი კომფორტი კი არ არის, პირველ რიგში პასუხისმგებლობაა როგორც ხალხის, ასევე საკუთარი თავის წინაშე.''_ ზაზა მეფარიშვილის ეს სიტყვები გადადგომის წინ საგანგებო ბრიფინგზე წარმოთქმული, ახალი გუბერნატორისთვის წინამორბედის დანაბარებად შეიძლება ჩაითვალოს.

# ტენდერებიდან ოთხივე მიმწოდებლის ვინაობა ცნობილია

**ნინო ნანიტაშვილი**

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის № 39 განკარგულებით, რეგიონალური განვითარების ფონდის ფარგლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სხვადასხვა სახის სამუშაოების განსახორციელებლად საპროექტო დოკუმენტაციების შესყიდვის მიზნით 75 000 ლარი გამოეყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პირველ ეტაპზე ტენდერები გამოაცხადა.

6 თებერვალს გამოცხადებული ტენდერებიდან გამარჯვებული მიმწოდებლები გამოვლინდნენ, გარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების წყალმომარაგების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციების შესყიდვაზე.

დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე: ''საპროექტო დოკუმენტაციების შესყიდვის მიზნით ჩვენს მიერ გამოცხადებულ იქნა ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე წყალარინებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგების დოკუმენტაციის შესყიდვაზე ტენდერი, 5 500 ლარის ღირებულებით დღგ-ს გარეშე. აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა ინდმეწარმე გიორგი ნატრიაშვილმა. საბოლოოდ შემოთავაზებული ფასით 1699 ლარი დღგ-ს გარეშე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღებისა და ''სათნოების სახლის'' რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადებული იყო დღგ-ს გარეშე 7710 ლარის ღირებულებით, რომელშიც გაიმარჯვა შპს ''არქიტექტორმა'', საბოლოოდ შემოთავაზებული თანხით 3 500 ლარით დღგ-ს გარეშე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული 2 სამუსიკო სკოლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადებული იყო 7710 ლარის ღირებულებით დღგ-ს გარეშე. გაიმარჯვა შპს ''მრავალკუთხედმა'' საბოლოოდ შემოთავაზებული თანხით 3799 ლარით დღგ-ს გარეშე''.

რაც შეეხება მაღალმთიან სოფლებში წყალმომარაგების სამუშაოებს, საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით 6 თებერვალს გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, მომდევნო ტენდერი იგივე შესყიდვებზე 20 თებერვალს იქნა გამოცხადებული. ღირებულებით 23 470 ლარი დღგ-ს გარეშე. აღნიშნულ ტენდერში წინადადების მიღება 26 თებერვალს დასრულდა. აღნიშნულ ტენდერში გამოვლენილია ფასის მიხედვით გამარჯვებული მიმწოდებელი _ შპს ''არქ დიზაინ მშენი''. საბოლოოდ შემოთავაზებული ფასით დღგ-ს გარეშე 18999 ლარი.

მომდევნო კვირიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში გამოცხადდება ტენდერი რეგიონალური განვითარების ფონდის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციების შესყიდვაზე, რაც ძირითადად მოიცავს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე გზების ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობისა და ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს.



# ლამანშის სრუტე გაკეთდა და...

**თეა ბაბუნაშვილი**

სოფელ ტოლებისა და ბუღნარას დამაკავშირებელ საავტომობილო ხიდზე მოძრაობის აკრძალვის შესახებ საკითხი, საკრებულოს ბოლო სხდომაზე, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ ულრელიძემ გამოიტანა. ეს საბაბი გახდა, რომ ''ნაციონალური მოძრაობის'' წევრს, ავთანდილ თადუმაძეს ეკითხა; ''ლამანშის სრუტე გაკეთდა და ამ ხიდს რატომ არ ადგება საშველი, მით უმეტეს, რომ ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მზად იყო, არაფერი უშლიდა ხელს სამუშაოების დაწყებას. ეს უკვე გამზადებული საქმე გახლდათ. იმ მომენტში ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, ეს ხიდი დამთავრებული იქნებოდა. ახლა ისმის, თანხაში ვერ ჩაეტია, კონსტრუქცია ვერ მიიტანეს... სასაცილოა ამგვარი პრობლემები. ამ ხიდზე მოძრაობა შეჩერებული იყო, ამიტომაც გაკეთდა შემოვლითი გზა.''

2013 წელს, სტიქიის შედეგად დაზიანებულ ხიდთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურის სამინისტროდან ჩამოსულმა ექსპერტიზამ სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ხიდზე მოძრაობის შეწყვეტის გადაწყვეტილება და მისი რეაბილიტაციის გადაწყვეტილება მიიღო. მთავრობის განკარგულებით მილიონ სამასი ათასი ლარი გამოიყო საჭირო სამუშაოებისთვის. 42 მეტრიანი ხიდის პროექტი ტენდერში გამარჯვებულმა ქუთაისის საპროექტო ორგანიზაციამ შეადგინა, რომლის ხარჯთაღრიცხვა 720 ათასი ლარი გახლდათ. რადგან ხიდზე მოძრაობა აიკრძალა, მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნის საფუძველზე, ისევ მთავრობის განკარგულებით შემოვლითი გზის გასაყვანად 50 ათასი ლარი გამოიყო, მოსახლეობა რომ გარესამყაროს მოწყვეტილი არ დარჩენილიყო.

ტენდერი მშენებელი ორგანიზაციის გამოსავლენად სამჯერ ჩაიშალა. სამუშაოების დაწყება კვლავ ჭიანურდება. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია, რომელიც წინა ხელისუფლებიდან მოყოლებილი იცნობს პრობლემას და მისი მოგვარების უშუალო მონაწილეა, აცხადებს, რომ ''ტენდერში გამარჯვებული საპროექტო ორგანიზაციის პროექტის ხარჯთაღრიცხვა 700 ათას ლარამდე იყო. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ ცვლილებები იქნა მასში შეტანილი და ხარჯთაღრიცხვის თანხა 724 830 ლარამდე გაიზარდა. არასაკმარისი ნამდვილად არ ყოფილა თანხა, ჩვენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მილიონ სამასი ათასი ლარის დახარჯვის უფლება გვქონდა ამ საქმეზე, მაგრამ არც სახელმწიფოს და არც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას არავითარი კონტროლის დაწესება არ შეუძლია ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციაზე თანხებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ სამხარაულის ექსპერტიზას დადებითი დასკვნა აქვს აღნიშნულ პროექტზე. გამოცხადებული ტენდერი ორივეჯერ იმიტომ ჩაიშალა, რომ ზოგიერთი მშენებელი ორგანიზაციისთვის თანხაა არასაკმარისი, ზოგი კი პროექტით გათვალისწინებული 33 მეტრიანი კონსტრუქციის ადგილზე მიტანის პრობლემებს ვერ აგვარებს.'' ამჯერად საპროექტო ორგანიზაციას ადგილობრივებმა, სამშენებლო რესურსების ფასების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის კორექტირების განცხადებით მიმართეს. თუ ამის შემდეგაც არ მიიღო ტენდერში სამშენებლო ორგანიზაციებმა მონაწილეობა, უკვე პროექტის კორექტირებაზე დაიწყება ზრუნვა, რაც 33 მეტრიანი მალების 15 მეტრიანით შეცვლას და დამატებითი ბურჯებით გამაგრებას გულისხმობს.

პროექტი არ ჩავარდება, _ იმედოვნებს ზურაბ გოგია. ამ ეტაპზე კი ტოლებიბუღნარას დამაკავშირებელი ხიდი უკვე გაზეპირებული თემა და ისევ და ისევ მოუგვარებელი პრობლემაა.

# თუ სოფელს არ ვუშველით, ისინიც დატოვებენ იქაურობას, ვინც დარჩნენ

**ნათია ნაცვლიშვილი**

მისი ბაბუა, დავით (დალოსტი) ლებანიძე წამოშობით სოფელ კვაშხიეთიდან იყო, ის მურმან ლებანიძის ბიძაშვილიც გახლდათ, ოჯახურადაც ახლოს იყო ორი თაობა ერთმანეთთან. მამა, ზურა ლებანიძე სოფლის საბჭოს თამჯდომარე იყო. მანაც კონკურსის გავლის შედეგად, დამსახურებულად მოიპოვა მშობლიურ სოფელ გორმაღალში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობა. როგორც ამბობს, ზვიად გასახურდიას ეროვნული მოძრაობის დღეებში ოპოზიციაში იყო, არც ერთი მიტინგი არ გამოუტოვებია. 9 კლასი ქვაყუდის არასრულ საშუალო სკოლაში დაამთავრა, მე-10 კლასი _ ნოღაში, მე-11 კლასი კი ექსტერნად _ № 1 საჯარო სკოლაში.

ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-ფიზიკოსის სპეციალობით დაამთავრა. სოფელში დაბრუნებულმა ფიზიკა-მათემატიკის და ხაზვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, შემდეგ ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში _ მდივნად. 2004 წელს მაჟორიტარი დეპუტატის, ზვიად ძიძიგურის ბიუროში იწყებს მუშაობას და 2008 წლამდე მუშაობს. ამის შემდეგ დაოჯახდა, მეუღლე დაოჯახებიდან 5 თვეში ტრაგიკულად დაეღუპა, ერთადერთი ვაჟი, გელა მამის სახელს ატარებს. 2 წელიწად-ნახევრის შემდეგ მეგობრების დახმარებით საზოგადოებას დაუბრუნდა და სოფელ გორმაღლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანოში სპეციალისტად დაიწყო მუშაობა, საიდანაც სამტრედიის № 54 საარჩევნო ოლქში გადმოინაცვლა. ამ ოლქში ჯერ ''კონსერვატორების'' და ''ქრისტიან-დემოკრატების'' წარმომადგენელი, შემდგომში, საპრეზიდენტო, შუალედურ და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კი ''რესპუბლიკელების'' წარმომადგენელი იყო.

ამბობს, რომ მისი ოჯახი მუდამ სოფლის პრობლემატიკით ცხოვრობდა. დედა _ სოფლის მასწავლებლად



მუშაობდა. ბაბუა _ სკოლის დირექტორი იყო. მასშიც გენეტიკურად გადმოვიდა გაჭირვებულისადმი დახმარების, ხელის გაწვდენის გრძნობა. ''მინდა, ჩემი ენერგია, შესაძლებლობა ჩემს სოფელს მოვხმარო, გამგებლის წარმომადგენლის ვაკანსიაზე ექვსნი ვიყავით, ერთმა გადავლახე ბარიერი და გავიარე წარჩინებით სამივე ეტაპი, 12 იანვარს დავინიშნე თანამდებობაზე''. _ გვეუბნება ქალბატონი ხათუნა.

სოფელ გორმაღალში 350 ოჯახია, 651 მაცხოვრებელია, მიგრაცია სხვა სოფლების მსგავსად ამ სოფელსაც დიდ პრობლემებს უქმნის. მთავარი პრობლემა კი, ქალბატონი ხათუნას თქმით, ისაა, რომ სოფელში საბავშვო ბაღი არ აქვთ. ''უბედურება ისაა, რომ ჩვენს მთაგორიან სოფელს სტოვებენ, ვისაც წასვლის საშუალება არ აქვს, ისინი არიან დარჩენილნი, თუ სოფელს არ ვუშველეთ, მგონი, ისინიც დატოვებენ იქაურობას. სოფელს მთავარი აქცენტი ბაგა-ბაღის გახსნაზე აქვს გადატანილი. ამჯერად სოფელში 26 სკოლამდელი ასაკის ბავშვია, ახალი კანონის თანახმად 6 წლის ბავშვები შედიან სკოლაში. აუცილებლად სჭირდება სოფელს საბავშვო ბაღი. მშობლებს სურთ ეს 6 წლიანი ბავშვები ბაღებში შეიყვანონ. ფაქტობრივად, სკოლისთვის ბავშვი აღარ რჩება. დღეს სკოლაში 19 ბავშვი ირიცხება. მესამე კლასი საერთოდ არ არის სკოლაში. თუ ასე გაგრძელდა, სავალალო მდგომარეობა გვექნება.

გამგებლის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ სართულზე თავისუფლად შეიძლება ფართი ბაგა-ბაღს დაეთმოს, გარემონტდეს და ნორმალური პირობები შეუქმნან პატარებს. სოფლის პროგრამებით გადმორიცხული თანხა 16 100 ლარი იქნება, ამ თანხიდან შეიძლება, გარკვეული თანხა ბაღის შენობის გასარემონტებლად მიიმართოს.

ქალბატონი ხათუნა სოფელში წყლის პრობლემის მოგვარების გამო ადგილობრივ ხელისუფლებას ემადლიერება. მცირე ზომის რეზერვუარებიდან მიეწოდება მოსახლეობას წყალი, მალე გაღმა ზონაში დაიწყება ამ პრობლემის მოგვარება, ეს რეზერვუარები დაიქლორა, მალე ისინი საბოლოოდ მოწესრიგდება, საამისოდ თანხა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამოჰყო. გზა არცთუ ურიგო მდგომარეობაშია, გაზის კომპანია ''ენერჯი ინვესტმა'' გაზიფიცირების პროცესი დაასრულა, ყველა მოსახლის ჭიშკრამდე მივიდა გაზი, ამჯერად გაზის კომპანია სამუშაოების წარმოების პროცესში დაზიანებული გზების შეკეთებით არის დაკავებული. 400 ლარი ჯდება ოჯახში შეყვანა, მოსახლეობას შეეძლება, თანხა ე. წ. განვადების პრინციპით დაფაროს, ეს პროცესი ამ ზაფხულში დაიწყება. შემოდგომაზე გაზს ყველა სოფელი მიიღებს.

სოფლის მოსახლეობას ელემენტარული დახმარება სჭირდება. დღესდღეობით მიმოფანტულნი არიან გორმაღლიდან წასული, ხათუნას თაობის ადამიანები: ისინი ცხოვრობენ იაპონიაში, ამერიკაში, რუსეთში, ზოგი სამუშაოდ წასულია 20 წელია უკან არ დაბრუნებულა. იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში უამრავი ქალბატონია წასული, ოჯახები რომ გადაარჩინონ.

''თუკი კანონი საშუალებას მაძლევს, არ შეიძლება ადამიანს არ დავეხმარო, სოფლის მოსახლეობის ცხოვრებით ვცხოვრობ, უნდა შევძლო, ჩემი ხელწერა დავატყო ჩემს სოფელს''. რა თქმა უნდა, ამაში მუნიციპალიტეტის ხელისუფლების დახმარება მექნება. უამრავ ადამიანს უკვე დავეხმარე, ვისაც ოპერაციის გაკეთება სჭირდება ვეხმარები, სპეციალური პროგრამა არსებობს, ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ამოქმედებამ ბევრ ადამიანს მოუსწრო სულზე''. _ განაცხადა ჩვენმა რესპონდენტმა.

# მეშვიდე მუხლს აქვს წინ მეექვსე მუხლი

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს შეხვდნენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებულ სიახლეებზე სასაუბროდ. გარდა იმისა, რომ წელს რამდენადმე მოიკლო სოფლის პროგრამების დაფინანსებამ, გარკვეული შეზღუდვები მათ ხარჯვაშიც შეინიშნება. კობა ჩიმაძე, საქართველოს ეროვნული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის მიზნობრივი პროგრამების სამმართველოს წარმომადგენელი, იმერეთისა და აჭარის რეგიონს კურირებს. მისი სტუმრობის მიზანი 2015 წლის სოფლის პროგრამების მხარდაჭერის მეთოდოლოგიის განხილვა გახლდათ. ამ პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფოს 50 მილიონი აქვს განსაზღვრული. თითოეული სოფლისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება. თანხა კი, ამიერიდან არ უნდა დაიხარჯოს ისეთი ობიექტების აღსადგენად, რომლებიც იმყოფება არა მუნიციპალიტეტის, არამედ ეკონომიკის ან სხვა სამინისტროს ბალანსზე. მაგალითად, სკოლები, რომლებიც განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია და აქედან გამომდინარე, მის ბალანსზეა. უნდა მოერიდოს სოფელი "ფულის წყალში გადაყრას", ეს კი ნიშნავს, რომ მართალია არ არის აკრძალული გზების მოხრეშვა, მაგრამ არც ისაა რეკომენდებული, მოიხრეშოს ისეთი უბნები, არაერთხელ რომ ჩატარებულა იდენტური სამუშაოები, თუმცა, უშედეგოდ. არ უნდა მოხდეს ამ თანხით სოფლის გამგეობის შენობების გარემონტება, რადგან ისინი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის ნაწილია და ამისთვის თანხები ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გამონახოს. მაგრამ დაშვებულია გზის იმ უბნების მოხრეშვა, სადაც ეს ეფექტური იქნება, ანუ ქვიშას წყალი არ ჩამორეცხავს. ამასთანავე, თანხა უნდა დაიხარჯოს საბავშვო ბაღების, სოფლის ბიბლიოთეკების, სანიაღვრე არხების, წყალმომარაგების სისტემის, გარე განათების და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

სიახლეა ისიც, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლიათ, ერთი სოფლიდან მეორეში გადაამისამართონ თანხა, თუ იგი აუთვისებელი, ანუ ნაშთის სახით დარჩება. ეს შესაბამისი დოკუმენტის მეშვიდე მუხლშია გაწერილი. თუმცა, როგორც კობა ჩიმაძემ აღნიშნა, მეშვიდე მუხლს წინ მეექვსე უძღვის, რომელშიც ნათქვამია, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სოფლის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრით უნდა გაანაწილოს იგი. "წინა წელთან შედარებით, წელს ნაკლებია სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული თანხა, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ."_ ამბობს კობა ჩიმაძე. რადგან იგი მოსახლეობის რაოდენობით განისაზღვრება, ეს ნიშანია იმისა, რომ მიგრაცია რაიონში ისევ გრძელდება.



სწორედ გაცხოველებულ მიგრაციაზე საუბრობდა გამგებლის წარმომადგენელი გორმაღლის ტერიტორიულ ერთეულში, ხათუნა ლებანიძე. სოფელს გადაწყვეტილი აქვს ამ თანხით საბავშვო ბაღი მოაწესრიგოს, იქნებ ამ ეტაპზე ამან ოდნავ მაინც დაამაგროს სოფელში ახალგაზრდობა. "განათლების ახალი კანონი, ექვს წლამდე ბავშვების სკოლაში შეყვანას რომ კრძალავს, მიგრაციის ერთ-ერთი წინაპირობა შეიქნა. რადგან ბაღი არ გვაქვს, მშობლები ბავშვების ქალაქში ან სხვაგან წაყვანას ცდილობენ. მათ და-ძმაც მიჰყვება, უმეტესობა უკვე სკოლის მოსწავლე რომ არის და ამან სულ დააცარიელა სოფელი. სკოლა აქამდეც 19 მოსწავლეზეა დასული და აწი რა იქნება. ამიტომ ბაღი აუცილებლად გვჭირდება, მშობლებმა ბავშვების წაყვანა რომ გადაიფიქრონ."_ ამბობს ხათუნა ლებანიძე. გამგებლის წარმომადგენელი ნიგორზღვის ტერიტორიულ ერთეულში, შავლეგო თარგამაძე აღნიშნავდა, რომ სოფლისთვის უგზოობა უდიდესი პრობლემაა, ამიტომ გზა არ მოიხრეშოს, მოსახლეობისთვის ძნელი გასაგები იქნება. მეზობელ სოფლებში კი სხვა პრობლემებია და შეთანხმება ცოტა უჭირს მოსახლეობის საერთო კრებას პრიორიტეტებზე. ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ღანირის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელმა თამაზ გაბელაიამ. "ყველა უბანი თავისთვის იქაჩება. დიდი უბნები ჩაგრავენ პატარა უბნებს. ამიტომ, უკეთესი იქნება, არა სოფლის საერთო კრებამ, არამედ მოსახლეობის წარმომადგენლებისგან შექმნილმა საბჭომ გადაწყვიტოს რა და როგორ აჯობებს."

იმან, რომ სოფლის პროგრამებით განსაზღვრული თანხებით გამგეობის შენობის გარემონტება არ შეიძლება, ყველა გამგებლის უკმაყოფილება გამოიწვია. "ნეტავ, განახათ, სად ვზივართ. მოსახლეობა გვეუბნება, თქვენი სამუშაო ადგილისთვის ვერ მიგიხედავთ და ჩვენ რას მოგვხედავთო. ადგილობრივ გამგეობას კი ექნება იმის საშუალება, ყველა სოფელში არემონტოს ეს შენობები?!"_ ერთხმად ამბობდნენ ისინი, რასაც სამინისტროს წარმომადგენელი არგუმენტად ახვედრებდა: "რომ გაარემონტოთ, გეტყვიან, თქვენი სამუშაო ოთახები მოაწესრიგეთ და სოფელში რამდენი რამეა მოუწესრიგებელიო."

კიდევ ერთი, რაც გამგებლის წარმომადგენლებს არ მოეწონათ, აუთვისებელი ნაშთის გადატანა იყო, რომელიც, როგორც სამინისტროს წარმომადგენელმა დააკონკრეტა, "შეუკითხავად შეუძლია, საკრებულოსთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, რომელიმე ერთი სოფლის გლობალური პრობლემის მოსაგვარებლად, გადაიტანოს ერთი სოფლიდან მეორეში."

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია აღნიშნავს, რომ "თანხების კორექტირება შეიძლება მოხდეს, რადგან ის, რაც გაიგზავნა სამინისტროში, იყო ნიმუში და არა საბოლოო ვარიანტი. ამიტომ ზოგიერთ სოფელს თანხა იქნებ მოემატოს კიდეც."

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, როგორც გამგებლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ერთადერთია ხელ-ფეხს რომ უხსნით ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად და სასურველია, მის მოკლებაზე კი არა, გაზრდაზე იყოს საუბარი, რომ მიგრაცია რამდენადმე მაინც შეწყდეს სოფლისთვის მეტი მხარდაჭერის დანახვისას.

# დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯი სტუდენტთა ახალ ნაკადს ელის

ნათია ნაცვლიშვილი

2015 წელს დაარსებიდან 90 წელი უსრულდება პროფესიულ სასწავლებელს, რომლის წარმატებული საქმიანობის შესახებ წარსულში არა მარტო ჩვენი გაზეთის, არამედ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე არაერთხელ დაწერილა. დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, რომელსაც ლეგენდარული პოლიკო მიქაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, თავის დროზე სამართლიანად უწოდეს "სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სამჭედლო".



მოგვიანებით ის გააუქმეს, მაგრამ მისი ხელმძღვანელის, ნუგზარ მიქაძისა და პროფესორ-მასწავლებელთა თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად, პროფესიულმა კოლეჯმა მუშაობა განაახლა. 2012 წლის სექტემბერში, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯი საკუთრებაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გადაეცა. კოლეჯმა ახალი სიცოცხლე დაიწყო, რასაც ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილისა და მისი თანამოაზრეების უდიდეს დამსახურებად მიიჩნევს დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის დირექტორი, ნუგზარ მიქაძე.

2014 წლის სექტემბერში, დიდი ჯიხაიშის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებულმა მესამე საფეხურის 5-მა პროფესიულმა პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა. გასული წლის სექტემბერში პირველი ნაკადიც მიიღეს, კონტინგენტიც მოგროვდა. კოლეჯი სტუდენტთა მიღებას წელიწადში ორჯერ: გაზაფხულსა და შემოდგომაზე აცხადებს.

მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯი აცხადებს სტუდენტთა მიღებას მესამე საფეხურის შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე: 1. სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, 2. მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი), 3. ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, 5. ტრაქტორისტ-მემანქანე.

პირები, რომლებიც წარმატებით გაივლიან პროფესიულ ტესტირებას და გადალახავენ მინიმალურ ზღვარს, სასწავლებელში ჩაირიცხებიან. კოლეჯში ყველა პირობაა შექმნილი შერჩეული სპეციალობის ღრმა და საფუძვლიანი დაუფლებისათვის, ასევე, სტუდენტური ცხოვრებისთვის. პროფესიული კოლეჯი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალით. იქ ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად ლექციებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებიც კითხულობენ.

ნუგზარ მიქაძე:

"სექტემბერში 138 აპლიკანტი დარეგისტრირდა და 83 სტუდენტი ჩაირიცხა. ყველაზე დიდი კონკურსი კვების პროდუქტების წარმოების სპეციალობასა და ვეტერინარიაზე იყო. განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებით, დაიწყო საგაზაფხულო მიღება, რეგისტრაცია მიმდინარეობს, ჩავდივართ სხვადასხვა რეგიონებში, ვხვდებით რაიონების, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს, ვაძლევთ ყველას ინფორმაციას, რომ სასწავლებელი მზადაა, აგრარული დარგების სპეციალისტები მოამზადონ. მივწვდით ლენტეხს და ცაგერსაც, მოგეხსენებათ, სამუშაო ადგილები მცირეა ქვეყანაში, მაგრამ სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტთა ნაკლებობაც არის. პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. პროფესიას მნიშვნელობა ენიჭება, ყველა სფეროში მიმდინარეობს ტესტირება. სხვათა შორის, მოდიან უფროსი ასაკის ადამიანებიც, რომელთაც უმაღლესი განათლებაც აქვთ მიღებული".



სასიამოვნო სიახლეც გვაცნობა კოლეჯის ადმინისტრაციამ. სექტემბერში მზადდება ახალი სპეციალობები. მათ შორის მცირე ბიზნესის მწარმოებელი, აქ გათვალისწინებული იქნება ამერიკელების, ინგლისელების და გერმანელების გამოცდილება. ეს არის უმაღლესი პროფესიული განათლების მეოთხე-მეხუთე საფეხური. მზადდება მე-4, მე-5 საფეხურის სამი პროგრამა. ახალგაზრდები, რომლებიც ამ განათლებას მიიღებენ, ტოლს არ დაუდებენ უნივერსიტეტ და სხვა ინსტიტუტ დამთავრებულ სტუდენტებს.

"საგაზაფხულო მიღებაზე 100 მსმენელი უნდა მივიღოთ 5 სპეციალობაზე. ვმუშაობთ სერიოზულად, სექტემბერში 7 ახალ სპეციალობასაც ვამზადებთ. ჩვენი მიზანია, დიდ ჯიხაიშში, შეიქმნას ერთ-ერთი სერიოზული და მოთხოვნადი სასწავლებელი, ძალიან მალე ვიწყებთ რემონტს. შემოდის ახალი ტექნიკა, ჩვენ დღემდე ვიყავით ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის შემადგენლობაში, ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე გაიხსნა აგრარული ფაკულტეტი, ჩვენც გადავალთ ამ ფაკულტეტის შემადგენლობაში. ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური პრობლემაც გაუმჯობესდება და მთელ დასავლეთ საქართველოში გვექნება საუკეთესო სასწავლო ბაზა, ჩვენი ერთ-ერთი ფუნქცია იქნება, პროფესორ-მასწავლებლებს შევუწყოთ ხელი საკანდიდატო და სადოქტორი შრომების დაცვაში, რაც ადგილზე უნდა განხორციელდეს". _ გვეუბნება ბატონი ნუგზარი.

წინათ 72 რაიონიდან სწავლობდნენ კოლეჯში ახალგაზრდები, ახლა გეოგრაფია მცირედ შეიკვეცა. სტუდენტები არიან აბაშიდან, ვანიდან ხონიდან, ჩხოროწყუდან, წყალტუბოდან.

"ჩვენ სპორტს არ ვეშვებით, ვემზადებით საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურისთვის" _ სხვა გეგმებზეც გვესაუბრება ბატონი ნუგზარი, ის ფრენბურთის გუნდ "ჯიკოს" ხელმძღვანელიცაა.

ჩვენ რამდენიმე მსმენელთანაც ჩავწერეთ ინტერვიუები:

ლევან ჯალაღანია: _ ვარ ჩხოროწყუდან, დავამთავრე ჩხოროწყუს არასრული საჯარო სკოლა, მუშაობა დავიწყე შოუ-ბიზნეს-ცენტრ "ჯანკომპანში", ცირკ "შაპიტოში", 2 წლის შემდეგ წამოველი საცირკო დასიდან და მონაწილეობას ვღებულობდი სხვადასხვა კონცერტებში. როცა გავიგე დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის შესახებ, ვამჯობინე, დავუფლებოდი ვეტერინარის პროფესიას, მოვემზადე და ჩავირიცხე "ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის" პროგრამაზე. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი გადაწყვეტილებით, გვასწავლიან კვალიფიციური, პროფესიული პედაგოგები.

კეთილმოწყობილი ვეტერინარიის კაბინეტი და მოქმედი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმერული მეურნეობები შესანიშნავი ობიექტებია პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად.

ბადრი თევზაძე: _ ვცხოვრობ ვანის რაიონში, სოფელ ფერეთაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა დიდი ჯიხაიშის პროფესიულ კოლეჯში გავაგრძელე "ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის" პროგრამაზე. მინდა გავხდე კარგი ვეტერინარი, მქონდეს ჩემი მცირე ფერმერული მეურნეობა. ასევე, ვეტერინარული მომსახურება გავუწიო როგორც ჩემი სოფლის, ასევე ჩემი რაიონის მოსახლეობას და ხელი შევუწყო მეცხოველეობის განვითარებას.

გიორგი ქავზინაძე: _ ვცხოვრობ ხონის რაიონში, სოფელ გვაზაურში, დავამთავრე სკოლა და სწავლა გავაგრძელე დიდი ჯიხაიშის პროფესიული სწავლების ცენტრში, მივიღე ფერმერის სერტიფიკატი. ამჟამად ამავე კოლეჯში მელიორატორის სპეციალობას ვეუფლები. მჯერა, ჩემს მიერ შესწავლილი პროფესიები ხელს შემიწყობს დასაქმებაში, ასევე, ავიღებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ დიპლომს".

# დიდი თურქობა საქართველოში...

**ლევან გაბეჩავა**

''კინემატოგრაფი'' ბერძნული სიტყვაა და მოძრაობის აღწერას ნიშნავს. განუზომელია კინოს გავლენა კულტურაზე, ადამიანის ყოველდღიურობაზე. ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, თუ როგორ ვიყენებთ ყოველწამს პოპულარულ ფრაზებს კინოფილმებიდან. როგორ ვბაძავთ საუბრის, ჩაცმის სტილით გამოჩენილ მსახიობებს და ა. შ.

დიდი ხანია, არავინ დავობს, რომ კინოს ადამიანთა ფსიქოლოგიურ განწყობაზეც შეუძლია იქონიოს გავლენა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციებით დატვირთვა და ა. შ.

ისევ და ისევ ქართული მხატვრული ისტორიული ფილმებიდან, ისტორიული ნაწარმოებებიდან ცნობილია, რომ წინა საუკუნეებში ქართველი ქალები სიკვდილს, ცეცხლში დაწვას ამჯობინებდნენ ულვაშებაწკეპილ შაჰთა ჰარამხანებში ''უზრუნველ ცხოვრებას''. დღეს კი, დღეს ისევ და ისევ ქართველი ქალებისა და ქართველი ოჯახების არსებობის ოფიციალური თუ არაოფიციალურ შემოსავლის წყაროს საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში მუშაობა წარმოადგენს. ამ ქვეყნებს შორის კი, ტერიტორიული სიახლოვის გამო და სარწმუნოებრივი განსხვავების მიუხედავად, თურქეთი ლიდერობს. ასე რომ, ორ კონტინენტზე გადაჭიმულ-გაშლილი თურქეთი მხსნელად, მშველელად მოევლინა საქართველოსა და ქართველებს.

ისევ კინოს გავლენასა და მნიშვნელობაზე, ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ქართული ტელესივრცე დიდი ხანია, თურქულმა მრავალსერიანმა ფილმებმა დაიპყრო. ეს მაშინ, როცა უიშვიათესი ქართული მხატვრული ფილმები, რომლებიც ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმის, მეგობრობის, სიკეთისა და სიყვარულის მქადაგებლებია ან მივიწყებულია, ან თუ უჩვენეს და ისე გვიან იწყება, რომ...

იმის გასარკვევად, თუ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები ყოველივეს, ''სამტრედიის მაცნე'' რამდენიმე რესპონდენტს გაესაუბრა:

**მარინე ხუჭუა, დიასახლისი:** ''რომ გითხრათ, თურქულ ან ინდურ სერიალებს არ ვუყურებ-თქო, ტყუილი იქნება, მაგრამ, რა თქმა უნდა კარგი იქნება, თუ ქართულ მხატვრულ ფილმებსაც ისეთივე სიხშირით უჩვენებენ, როგორც უცხოურს''.

**ვაჟა ნიკურაძე, 64 წლის:** ''ჩემი გულის წუხილი მაქვს, სად შემიძლია ამდენი დაუმთავრებელი თურქული ფილმების ნახვა, ქალებს მეტი რა უნდათ. ისე, რა ლამაზი ქალები ჰყოლიათ თურქებს, რატომ გეღიმებათ, არ მეთანხმებით?''

**სოსო კალაძე:** ''ვისაც თურქული ფილმები არ მოსწონს, შეუძლია გადართოს სხვა არხზე, ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ მე ამაში''.

**ზიკო ჯინჭარაძე, 18 წლის:** '' ძალიან ცუდია, როცა ''მე, ბებია, ილიკო და ილარიონის'', ''შერეკილების'' მსგავსი საოსკარო ფილმების გადაღება დღევანდელ საქართველოში ნაკლებად ხდება. ეს იმიტომ, რომ არ არის შესაბამისი დაფინანსება. გეთანხმებით იმაში, რომ ქართული მხატვრული ფილმები უფრო ხშირად უნდა გადიოდეს ეთერში, ეს კი, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვისაა საჭირო და აუცილებელი''.

**შოთა პაპავა, მხატვარ-კარიკატურისტი:** ''თურქული სერიალები, რომლებითაც ასე აქტიურად მაუწყებლობს ქართული ტელევიზიები, ძირითადად ემყარება ამ კონკრეტული ქვეყნის ადათწესებს და ტრადიციებს. სასურველია, რომ მეზობელი სახელმწიფოს ჩვეულებები ცნობილი იყოს ჩვენთვის, მაგრამ იმ სახით, როგორც დღეს ხდება, დამეთანხმებით, გადაჭარბებული, მოსაბეზრებელიც კია.

ქართული ფილმების ფენომენი, როგორც მას ფრანგებმა უწოდეს, მსოფლიოშია ცნობილი, იგივე შეიძლება ითქვას ქართულ თეატრზეც. ხომ არ აჯობებს, საეთერო დრო სწორედ ამგვარი (ეროვნული) თემატიკით დავტვირთოთ, რათა ხელი შევუწყოთ თეატრისა და კინოს მეტ პოპულარიზაციას ახალგაზრდობაში''.

**ინკოგნიტო:** ''გამოსერიალებულისაზოგადოება _ ასე შემიძლია შევაფასო დღევანდელი ქართული საზოგადოება. მივსულვართ ოჯახებში და გვინახავს სამი თაობის წარმომადგენელი: ბებია, დედა და შვილი როგორ სხედან მიშტერებულნი ტელევიზორთან და უდიდესი ემოციებით უყურებენ თურქულ, თუ სხვა სერიალებს და მთელი დღეების განმავლობაში უნდებიან მათ განხილვას. ციტირებენ სერიალებიდან ფრაზებს. გასაგებია, ყველა ვერ უყურებს კლასიკად ქცეულ ფილმებს. მთელი დღის განმავლობაში ყველა არხზე გასულ ყველა სერიალს გადართვა-გადმორთვის პრინციპით რომ უყურებს, ის ადამიანი ბოლომდე ჯანსაღი ვერ უნდა იყოს.

ისე, ამ უმუშევარ, დანევროზებულ ქალბატონებს კარგი გასართობი საშუალება გამოუჩნდათ.

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა უმრავლესობას აუცილებლად მიაჩნია, რომ საეთერო დრო ქართულ მხატვრულ ფილმებს დაეთმოს უმეტესად, შემდეგ კი...

დაბოლოს, უცხოური მრავალსერიანი ფილმების სიხშირემ ქართულ ტელესივრცეში ერთი ანდაზა მოგვაგონა: თურაშულის პატრონი ტყეში პანტას რომ ეძებდა. გვაინტერესებს ერთიც, საკითხავია, თურქეთში რა სიხშირით უჩვენებენ (უჩვენებენ კი?) ქართულ ფილმებს?

ნუ ვიქნებით მაქსიმალისტები, დოზირებაა საჭირო ყველგან და ყველაფერში!





# რკინიგზელი ქალბატონები!

არაერთი სახელოვანი რკინიგზელი ქალი ამშვენებს ჩვენი ფოლადის მაგისტრალის მრავალათასიან კოლექტივს. მათ გარკვეული წვლილი შეაქვთ რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობაში. ვინც მრავალ წელიწადს უანგაროდ ემსახურება თავის საქმეს, ასეთ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება მშვიდი, სანდომიანი სახის რკინიგზის სამტრედიის სადგურის მთავარი ინჟინერი, ქალბატონი ნინო ყუბანეიშვილი. ნინომ 1986 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობას იწყებს სადგურ სამტრედიაში სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო უფროსი ინჟინერი, სადგურის უფროსის მოადგილე, წამყვანი ინჟინერი, ხოლო შემდეგ ინიშნება მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ქალბატონი ნინო ადმინისტრაციასთან შეთანხმებული მუშაობით ყოველთვის აღწევს დადებით შედეგებს _ მომუშავეთა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა, შრომის დაცვის სწავლება და ინსტრუქტაჟების ჩატარება, მომუშავეთა სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით და დამცავი საშუალებებით მომარაგება, შრომის უსაფრთხოების დაცვა. ამის შედეგია რომ ორი ათეული წელია სადგური მუშაობს უწუნოდ, უავარიოდ და ტრავმატიზმის გარეშე. სადგურ სამტრედიაში შემოდის სახაზო სადგურები კოპიტნარი, მუხიანი, ქოლობანი და გურიის ტერიტორიაზე საჯავახოდან ოზურგეთის ჩათვლით (12 სახაზო სადგური). მას სჭირდება ყოველდღიური კონტროლი და დახმარება, რათა სადგურებმა იმუშაონ უწუნოდ და უავარიოდ. უანგარო მუშაობის შედეგია, რომ სადგურმა გასული წელი წარმატებით დაამთავრა. შესრულდა ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის დავალება, ვაგონების მოცდენა შემცირდა 19,3%-ით.

ნინო სიამოვნებით გადასცემს ახალგაზრდებს თავის მდიდარ გამოცდილებას, თავის გულისხმიერი ურთიერთობით კოლექტივში იმსახურებს პატივისცემას და სიყვარულს. ქალბატონი ნინო ორი ვაჟიშვილის დედაა, ორივე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები არიან. მეუღლე რომან მაჭარაძე სადგურ სამტრედიის სამანევრო დისპეტჩერია.

არ შეიძლება, ქალბატონ ნინოსთან ერთად არ დავასახელო რკინიგზის დასავლეთი რეგიონის საწარმოების _ სალოკომოტივო, სავაგონო, სალიანდაგო, ელექტროფიკაციის, კავშირგაბმულობის, ელექტროსამონტაჟო საწარმოებში მომუშავე ქალბატონები: მადონა ხაბეიშვილი, ლიანა კიკაჩეიშვილი, თინათინ მგელაძე, ლამარა ქალდანი, მზია სულაქველიძე, ნინო ამაღლობელი, ზაირა კოპალეიშვილი, მაია ბაკურაძე, ლარისა ჩორგოლაშვილი, ციცინო ღლანიძე, ქეთევან შილაკაძე, მანანა ნადირაძე, ნინო სესიაშვილი, ეველინა დარსაველიძე, ფატიმა კოპალეიშვილი, ნარგიზა ტონია, მანანა გაგუა და სხვები. ვულოცავთ მათ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ ცხოვრებას, ბედნიერებას და სიყვარულს!

**რევაზ შამათავა**

# ვარ სევდიანი და ვარ ბედნიერი!

**თეა ბაბუნაშვილი**

''...სევდიანი იმიტომ, რომ ამ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს ვხედავ და ბედნიერი იმიტომ, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, როგორიც არჩილ გოგბერაშვილია, რომელიც ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ყოფა შეუმსუბუქოს''. ეს სიტყვები კულტურის სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ კულტურის ცენტრში თქვა საქველმოქმედო კონცერტის დასრულების შემდეგ. არჩილ გოგბერაშვილი თავისი იდეის ერთგული უკვე მეცხრე წელია რჩება. ბავშვობა ცერებრალური დამბლით დაავადებული ბიძაშვილების გვერდით გაატარა და დღემდე ცდილობს, ბავშვობის მოგონებად სიკეთე ასე თესოს. ''ინვალიდთა დახმარებისა და ინტეგრირების ლიგა'' 1999 წლიდან ფუნქციონირებს და ძირითადად, ადამიანების კეთილ ნებასა და ჰუმანიზმზეა დამოკიდებული.



პრობლემების მქონე ბავშვებს სახელმწიფო პენსიის სახით 1600 დოლარს უხდის, უფასო სამედიცინო პაკეტსა და განათლების უფლებასთან ერთად.

იმ დღეს უკვე მეოთხეჯერ მოიყვანა ამგვარ კონცერტზე ნათლიამ, მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგმა, თამარ რაზმაძემ კარლო კაჭარავა. დაბადებიდან იგი მისთვის უპირველესი ადამიანია. ბევრი რამ სასიკეთოდ განსაზღვრა კარლოს ცხოვრებაში ნათლიის მონდომებამ და ამაგმა. _''კარლომ ბევრი მეგობარი შეიძინა ამგვარ საღამოებზე. უყვარს მუსიკა და სიმღერა. გრძნობს, რომ იგი არ არის მარტო. ეს მისთვის ბევრს ნიშნავს.''_ ამბობს თამარ რაზმაძე. გასულ წელს სწორედ ამგვარ კონცერტზე გაიცნო მან ''ნიჭიერის'' გამარჯვებული ვანო ფიფია, რომელთან მეგობრობასაც აგრძელებს. მეგობრები იმ დღესაც შეხვდნენ ერთმანეთს იმ საქველმოქმედო კონცერტზე.

გიგლა კუპრავა მე-10 საჯარო სკოლის ინკლუზიური ჯგუფის მოსწავლეა. მისი პედაგოგი, დალი ღამბაშიძე საქველმოქმედო საღამოზე თან ახლდა. მან მადლობა გადაუხადა საღამოს მესვეურებს და გიგლას სურვილი გაამხილა კეთილი ადამიანების საყურადღებოდ. ''გიგლას ხელების მოძრაობა შეზღუდული აქვს. იგი ფეხით თამაშობს მობილურ ტელეფონზე, რომელიც გაუტყდა. თუ გამოჩნდება ისეთი ქველმოქმედი მას ტელეფონი უყიდოს, მადლს იზამს''. ვფიქრობ, ასეთები გამოჩნდებიან.

არჩილ გოგბერაშვილმა განსაკუთრებული მადლობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას მისამართით თქვა, არაერთ ქალაქში ვყოფილვარ და არსად შემხვედრია ასეთი გულისხმიერი ადამიანიო. თავად ბატონი ნუგზარი კონცერტის შემდეგ აცხადებდა: ''არ შეიძლება, გერქვას ადამიანი და ამ ბავშვების მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერებით არ განიმსჭვალო. ამ საღამომ ეს დაამტკიცა კიდეც. დარბაზში გვერდით ვინც მეჯდა, ყველას თვალებზე ცრემლი შევნიშნე. მათ გვერდით უნდა გვიგულონ და დავეხმაროთ საზოგადოებაში ადაპტირებისას.''

სამტრედიაშიც უამრავი მადლობა თქვა არჩილ გოგბერაშვილმა სცენიდან იმ ადამიანების მიმართ, საკუთარი წვლილი რომ შეიტანეს მათ დასახმარებლად, ვისაც მართლა სჭირდება დახმარება.

საჩუქარი იმ დღეს 23 სამტრედიელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს გადაეცა. გარდა ამისა, მათთვის კონცერტი გაიმართა, რამაც ისინიც გაამხიარულა და მასზე დამსწრე სხვა ბავშვებიც. მისი დასასრული სიურპრიზი აღმოჩნდა დარბაზში მყოფი პატარებისთვის. ისინი სცენაზე თავადაც აღმოჩნდნენ სასიმღეროდ და საცეკვაოდ.

არჩილ გოგბერაშვილი კი დანანებით ჰყვებოდა, რომ ამერიკაში მსგავსი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური მადლობას უხდიდა კონცერტის ორგანიზატორს, რომელმაც, როგორც მან აღნიშნა, ''მთელი შეგნებული ცხოვრება ამ საქმის კეთებას მიუძღვნა. ეს კი საოცარი მუხტია სიკეთის საკეთებლად, იმ საქმის საკეთებლად, მოვალეობად რომ უნდა გაიხადოს ყველა ჩვენგანმა''.

გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი არჩილ გოგბერაშვილზე საუბრობდა, როგორც ადამიანზე, რომელსაც კეთილი საქმის კეთება ცხოვრების კრედოდ უქცევია. ''სასიამოვნოა მასთან თანამშრომლობა და ამავდროულად აუცილებელიც. მოგეხსენებათ, ჩვენს მუნიციპალიტეტში დღის ცენტრი ''ლამპარი'' ფუნქციონირებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის. იქ მორიგი სტუმრობისას დავპირდი მათ, რომ ბევრ ლამაზ დღეს ვაჩუქებდით. ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ასეც იქნება, რადგან ამ საღამომ დაგვანახა, როგორ მონატრებიათ მათ ამგვარი გართობა.''

არჩილ გოგბერაშვილი და ინვალიდთა ლიგა კი უკვე სხვა ქალაქში გაემართა მათი თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

# "როგორც კი გავიგე, კახი კენჭს იყრიდა, მაშინვე მასთან მივედი"

ქეთევან ჭელიძე

"ერთ დილით გავიღვიძე და აღმოჩნდა, რომ სიაში პირველი ნომერი ვარ". _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ტარიელ დვალიშვილი, გულწრფელ საუბარს იწყებს "სამტრედიის მაცნესთან". პოლიტიკაში ყოფნის პრეტენზია არასოდეს ჰქონია. საერთოდ, სიაშიც თუ მოვხვდებოდი, არ მეგონაო, _ თქვა. თუმცა, ქვეყნის უკეთესი მომავლის იმედად 2002 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში "მრეწველების" ინტერესს იცავდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი კახი კალაძეს დაუდგა გვერდით.

"არავის უთხოვია, როგორც კი გავიგე, კახი კენჭს იყრიდა, მაშინვე მასთან მივედი. ძალიან კარგი ადამიანია. ნეტავ, ბევრი იყოს მასეთი ჩვენს ქვეყანაში". _ გვარწმუნებს ბატონი ტარიელი. იქვე იმასაც უსვამს ხაზს, ვიცესპიკერი და ენერგეტიკის მინისტრი ანაზღაურების გარეშე რომ მუშაობს, სამსახურებრივი მანქანით არ სარგებლობს და ხელს ბევრს უწვდის დასახმარებლად.

"კახა კოლექციონერია, რამდენიმე მანქანა ჰყავს, მაგრამ ფეხბურთიდან მის გაცილებაზე მრავალი საპატიო სტუმარი რომ ჩამოვიდა საქართველოში, მათ გადასაყვანად ერთი სახელმწიფო მანქანა კიდევ გახდა საჭირო. ამასთან დაკავშირებით მედია ახმაურდა: კალაძემ სახელმწიფო მანქანით ისარგებლაო. სირცხვილი არ არის!

რამდენ კარგ საქმეს აკეთებდა თურმე ივანიშვილი და ხალხმა ეს გვიან გაიგო. ეს იმის ბრალია, რომ "ქართული ოცნების" პიარი მოისუსტებს. იშვიათად, რომ რაიმეს აფიშირება ხდებოდეს. "ნაციონალები" ამ მხრივ ძლიერები იყვნენ, უმნიშვნელო რამესაც კი აპიარებდნენ. თუნდაც, ჩვენთან, საკრებულოში, ოპოზიცია ყოველთვის პოზირებს ჟურნალისტებთან. ბევრს ვერაფერს გააკეთებენ, მაგრამ ცდილობენ მაინც". _ გვიხსნის ფრაქციის თავმჯდომარე.

ბატონი ტარიელი არც იმის თქმას ერიდება, საკრებულოში წარმოდგენილი რამდენიმე "ნაციონალი" ერთ მუშტად რომ არის შეკრული. სურვილი აქვს, კოალიციაში შემავალ პარტიებს შორისაც არსებობდეს ერთსულოვნება. ასე საქმესაც უფრო წაადგება.



ერთ გუნდად ყოფნის ფასი კი ნამდვილად იცის ყოფილმა სპორტსმენმა. წარმატებული, აღიარებული ფეხბურთელი იყო ტარიელ დვალიშვილი. 17 წელი ითამაშა სამტრედიის "ლოკომოტივში" და აქედან 10 წელი გუნდს კაპიტნობდა. ფეხბურთის თამაში 7 წლის ასაკში დაიწყო. თბილად იგონებს მის პირველ მასწავლებელს, სერგო ერქვანიძეს. ყოველთვის მოძრავი და ენერგიული პოპულარული ფილმის, "ტარზანის" გმირს ბევრ რამეში ბაძავდა. ტარზანიც იმიტომ შეარქვეს და ეს ზედმეტსახელი დღემდე მოჰყვება.

ტარიელ დვალიშვილი სამტრედიაში დაიბადა. მე-3 საშუალო სკოლაში სწავლობდა, მე-8 კლასიდან კი თბილისის 31-ე სკოლაში გააგრძელებინეს სწავლა. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. როგორც წესი, სამხედრო არმიის რიგებში გაიწვიეს და იქ სპორტულ კლუბ "სკა"-ში გაანაწილეს. შემდეგ "დინამოში" მიიწვიეს სათამაშოდ. აქ მან წელიწად-ნახევარი დაჰყო. ემაყება, ისეთ ცნობილ ფეხბურთელებთან რომ თამაშობდა, როგორებიც დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე და სხვები იყვნენ. მთავარი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის, როგორც ადამიანის, სპორტსმენის, ორგანიზატორის და განათლებული პიროვნების შესახებაც სიამოვნებით გვიყვება.

"დინამოდან" წამოსვლის შემდეგ ტარიელ დვალიშვილი სამტრედიის "ლოკომოტივის" თავდამსხმელი ხდება. მაშინ გუნდი, რომლის პრეზიდენტი კარლო კალაძე იყო, საკმაოდ აღიარებული გახლდათ. საკუთარ მიღწევებზე საუბარს თავს არიდებს ბატონი ტარიელი, თუმცა, ვისაც კი სტადიონზე უნახავს იგი, არასოდეს ავიწყდება.

რაიონის ხელმძღვანელები გადაგებული იყვნენ საფეხბურთო გუნდზე. აქტიურად ედგნენ გვერდით სპორტსმენებს და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ "ლოკომოტივს" ლიდერ გუნდებს შორის პოზიცია არ დაეთმო.

ცხადია, რაიკომის მდივანს, ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებულ თამაზ იმედაძეს გუნდში თავისი ფავორიტი ჰყავდა და იგი პარტიის რიგებშიც მიიღო. "დასავლეთ საქართველოში ერთადერთი ფეხბურთელი ვიყავი, ვინც პარტიაში მიიღეს. ეს მაშინ ძალიან პრესტიჟული იყო". _ იხსნებს ბატონი ტარიელი. აქტიური სპორტიდან წამოსვლის შემდეგ ის სამტრედიელ პატარებს წვრთნიდა და აოსტატებდა ფეხბურთში.

კარლო კალაძესთან მეგობრობამ და კახი კალაძის გულშემატკივრობამ მოიყვანა ბატონი ტარიელი პოლიტიკაში, ბევრ წინააღმდეგობას გაუძლო "ქართული ოცნების" მხარდამჭერებთან ერთად. იგონებს, როგორ ებრძოდნენ "ქართული ოცნების" საპარალამენტო კანდიდატს ისინი, ვინც ცოტა ხნის წინ ტაშს უკრავდნენ.

"მთელი ძალები სამტრედიაში გადმოისროლა "ნაციონალურმა მოძრაობამ", რადგან აქ კენჭს კახი იყრიდა. არჩევნების პერიოდში იგი სამტრედიელებს დაჰპირდა, რომ კარგ საფეხბურთო გუნდს შეჰქმნიდა. შეჰქმნა კიდეც. გამორჩეულ ფეხბურთელებს მოუყარა თავი "სამტრედიაში". გუნდს ყოველმხრივ არაჩვეულებრივი პირობები აქვს. ნეტავ, ყველა სფეროში ასე აწყობილი გვქონდეს საქმე.

ცხადია, გულშემატკივრებს უნდათ, გუნდმა მალე მიაღწიოს წარმატებას, მაგრამ ეს ასე არ ხდება, დრო სჭირდება". _ გაგვიმარტავს ყოფილი კაპიტანი.

ფრაქციის თავმჯდომარეობა დიდ პასუხისმგებლობად მიაჩნია ტარიელ დვალიშვილს, თანაც, _ "ქართული ოცნების". თვლის, რომ სწორედ "ქართულმა ოცნებამ" გააკეთა ის, რაც ქვეყანაში მოხდა არჩევნებზე.

"ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ძლიერი კოალიცია შეჰქმნა. პარტიებმა გაერთიანებული გზით შეძლეს ხელისუფლების შეცვლა, თორემ გახსოვთ, ცალცალკე მათ არჩევნებში ბარიერის გადალახვაც კი უჭირდათ. ახლა მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩვენი კოალიცია 22 კაცითაა წარმოდგენილი, ფრაქციაში კი ჩემს გარდა 3 წევრია: ბატონი ნუგზარ ჯამბურია _ უპატიოსნესი ადამიანი, ქალბატონი მანანა სირბილაძე და ბატონი შალვა არზუმანიანი. გამგეობა და საკრებულო ერთი გუნდი ვართ". _ ასე აფასებს სიტუაციას და თავის თანამოაზრეებს ფრაქციის თავმჯდომარე.

სიმართლის თქმა მიყვარსო და არც ჩვენთან საუბრის დროს დაუმალავს "ჯანმრთელობადაკარგულმა" ლარმა როგორ დღეში ჩააგდო ქვეყნის მოსახლეობა, ხელისუფლება და ბიზნესი. ბევრ რამესთან ერთად არც ის მოსწონს, "ქართული ოცნების" აქტივისტები დღემდე დაუსაქმებელნი რომ არიან. იმის მომხრე არ ვარ, ვინმეს სამსახური დაატოვებინონო, მაგრამ იმ ადამიანების მიმართ ვალდებულება რომ გააჩნია "ქართულ ოცნებას", ამასაც ხაზს უსვამს.

"33 ვაკანსია დაიდო, თითქმის ყველა სამსახურში "ნაციონალების" დროინდელი კადრები დარჩნენ. სამსახურის ხელმძღვანელები რომ გათავისუფლდნენ, ხელს ჩვენსკენ იშვერდნენ, უკანონოდ გაგვიშვითო. ჩვენ კი არა, კანონმა გაუშვა ისინი. მათ შორის ჩვენი გამგებლის სიძეც იყო _ ზაზა ხუჭუა, ძალიან კარგი პიროვნება. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება, არც მომხდარა. "ნაციონალები" ასე არ მოიქცეოდნენ. გახსოვთ, ალბათ, საკრებულოს არჩევნებზე მთელი ქალაქი გამოვიდა მოთხოვნით, "ნაციონალებს" თანამდებობები დაეტოვებინათ, მაგრამ ზევიდან დარეკეს, ხელი არავის ახლოთო.

ოთხი არჩევნები მოვიგეთ, თუმცა, პირველი, საპარლამენტო არჩევნები, არჩევნები კი არა, ომი იყო. დღეს უკვე ყველა ბერკეტი ჩვენს ხელშია და ვერა და ვერ გადავჭერით ესა თუ ის პრობლემა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში და მათ შორის სამტრედიაში, არაფერი კეთდება. სამწუხაროდ, ამ ყველაფრის დიდი დოზით გაპიარებას არ ვახდენთ". _ ასკვნის ჩვენი რესპონდენტი.

დიდი იმედით ისევ ბიძინა ივანიშვილს შეჰყურებს. მისი აზრით, რა გასაკვირია, თუკი ბატონი ბიძინა ქვეყნის მართვაში მონაწილეობს, რადგან სახელმწიფოს ვინც მართავს, თანამდებობებზე დღეს ყველა მან მოიყვანა. შუალედური არჩევნები ჩატარდება თუ არა, ვარაუდობს, რომ გადამწყვეტი სიტყვა ისევ ბიძინა ივანიშვილმა უნდა თქვას.

თვითონ ბატონი ტარიელი კი, როგორც დასძენს, ვიდრე კახი კალაძე პოლიტიკაშია, ისიც მის გვერდით იქნება, წავა და ისიც დატოვებს პოლიტიკურ არენას.

# როცა ქალაქს ერთად ყოფნა შეუძლია

ნინო ნანიტაშვილი



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით, სახელოვნებო და მუსიკალური წრეების ჩართულობით, 18 თებერვალს, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში კომპოზიტორისა და მუსიკოსის ნონა ჭახნაკიას მხარდასაჭერი საღამო გაიმართა. ქალბატონ ნონას ესაჭიროება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ერთ-ერთი იმპლანტანტის იმპლანტაცია. ოპერაცია სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული. ამდენად, თანადაფინანსების შესავსებად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა წამოიწყო მარათონი, რომელიც 18 თებერვლის მხარდასაჭერი ღონისძიებით დაგვირგვინდა.



საღამოს ორგანიზატორებმა ნონა ჭახნაკიას წლების წინ დაწერილი სიმღერიდან ამონარიდი სიტყვები "ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს" წაუმძღვარეს კონცერტს, რომელიც მთელ საღამოს ლაიტმოტივად გასდევდა.

საღამო მიჰყავდა მამუკა მხეიძეს. კონცერტს ტექნიკურად უზრუნველყოფდნენ ნატა ჯიქია და ნანა ბებია. საღამოს ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ ელენე ანკვაბი.

წამყვანს მხედველობიდან არ გამორჩენია დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ვალერიანე ფოცხვერია, ლიზა კრაველიშვილი, ნატალია მანჯგალაძე. დარბაზში ასევე ისხდნენ მუსიკის, განათლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, ნონა ჭახნაკიას კოლეგები, მეგობრები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, ანსამბლ "ორუდილას" ყველა თაობა. "სამტრედიის მკითხველმა" კარგად იცის, რომ ქალბატონმა ნონამ სამტრედიაში რამდენიმე წლის წინ ჩამოაყალიბა ბავშვთა საესტრადო ანსამბლი "ორუდილა", რომელმაც უკვე რამდენიმე თაობა გაზარდა და სამტრედიელ მაყურებელს მათი მონაწილეობით არაერთი ლამაზი საკონცერტო საღამო აჩუქა.

მხარდასაჭერმა საღამომ თავისი მისია შეასრულა. სიმღერისა და ცეკვის ფონზე დარბაზი აქტიურობდა, იქვე შემოვიდა გარკვეული თანხა.

მამუკა მხეიძე, საღამოს წამყვანი: "პირველ რიგში, მე და ქალბატონი ნონა ვართ კოლეგები, ერთ ლამაზ დიდ ჭერქვეშ, რასაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ჰქვია, წლებია ვმოღვაწეობთ. ქალბატონი ნონა არის ნიჭიერი, წარმატებული ადამიანი, რომელსაც დღეს დასჭირდა ჩვენი გვერდით დგომა. სიყვარულთან და მისი პიროვნებისადმი უდიდეს პატივისცემასთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, ჩვენი მოკრძალებული წვლილი მატერიალური კუთხითაც შეგვეტანა. დღევანდელმა დღემ დამარწმუნა იმაში, რომ ქალაქს შეუძლია ერთად ყოფნა, ჩვენ ვისწავლეთ ტოლერანტობა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ეს გენეტიკაშიც გვიდევს. ჩვენ ვისწავლეთ ერთმანეთის პატივისცემა, დახმარება და გვერდით დგომა. ყველა მონაწილის სახელით მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც ხილულად თუ უხილავად თავისი წვლილი შეიტანა ქალბატონი ნონას მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერაში".



# მთელი ცხოვრება ვსწავლობ, როგორ ვასწავლო ბავშვებს

ნათია ნაცვლიშვილი

***მისი ყოველდღიურობა ცხოვრების აქაფებული და ხმაურიანი რიტმია, თამარს მშვიდს ვერსად ნახავთ, ვერც მის ყველაზე დიდ და საყვარელ ადგილას _ სკოლაში, გაკვეთილზე, ვერც მისი პოეზიის სამყოფელში და ამაში მისი ლექსების დაჭაშნიკების შემდეგ დარწმუნდებით. "და თუ დაწყნარდი, რაა ცხოვრება" _ მახსენდება პოეტის სიტყვები, როცა მას მრავალ ფრონტზე ასე საინტერესოდ მებრძოლს და დახარჯულს ვხედავ. შესანიშნავი მეუღლე, პოეტი, დედა, პედაგოგი... ის არ განეკუთვნება კუშტი, გაანიზებული ქალების კატეგორიას, ხელში თოხიც სჭერია, როცა ცხოვრებას მისგან ფიზიკური შრომა მოუთხოვია.***

***გადავწყვიტეთ, სამტრედიის კოლორიტული ქალბატონი თავისი პოეზიის, სკოლის, ოჯახის სამყაროს მცირე ხნით მოვწყვიტოთ და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე გავესაუბროთ.***

***"ყოველთვის რაღაც მაკლდება, ყოველთვის ვწვალობ, ვდაობ, შენ კი ისეთი ლაღი ხარ, ისევ ცისფერი, ცაო, არ მინდა გული დარდით და მწარე ეჭვებით ვავსო; შენ გეჭიდები სიცოცხლევ, უკანასკნელო ხავსო"_ ეს სამყაროს თამარ რაზმაძისეული ხედვაა, აღქმაა და მისი სულის დუღილში შობილი მოიმედე სტრიქონებია. ეს კი სამშობლოს მისეული ორიგინალური განცდაა: "მამულო, ქრისტეს წილხვდომო, მარად ფაქიზი იყავი, ისე, ვით ბერი თევდორე, შენს ფერხთ მოვიკვდე, ღირს მყავი. დამნაცრე ქართულ ვაზივით, გალავნის კედლს ვემატო, მამულო, ქრისტეს წილხვდომო, სულ შენი ვალი მემართოს".***



**_ თამარ, საუბარი მშობლიური სოფლით დავიწყოთ, ბუნების სიმშვენიერე, იმერული სოფლის სითბო, განსაკუთრებით ამდიდრებს თქვენს პოეზიას...**

_ ჩემი უსაყვარელსი ადგილი დედამიწის ზურგზე არის ბაში, სადაც წავსულვარ, ყველაგნ მითქვამს, რომ ვარ ბაშელი. ბაშის საშუალო სკოლაში ავიდგი ფეხი. პირველად იქ მიმიღეს პედაგოგად ბატონმა ომარ გერაძემ და ქალბატონმა მაყვალა კაშმაძემ, პირველი ორი კურსი დასწრებულზე ვიყავი, მერე გადავედი დაუსწრებელზე, რადგან ყველას ეჩქარებოდა ჩემი "გამასწავლებლება". დიდი ზეიმი იყო, როცა ჩემს სკოლაში დავბრუნდი. მახსოვს, ჩემი პირველი მასწავლებელი, ნათელა ნაცვლიშვილი შემეგება, გულში ჩამიხუტა. ხომ ხდება, ზოგჯერ ახალ მოსულ კადრს კონკურენტად მიიჩნევენ... ბავშვობიდან, სკოლის წლებიდან "წინსვლაში" ვიბეჭდებოდი. ეს ჩემი უსაყვარლესი გაზეთია. ჩემი პირველი ლექსი "ნორჩ ლენინელში" 1982 წელს დაიბეჭდა. მერე დავიბეჭდე "პიონერში", შემდეგ მოვხვდი ბანაკ "არტეკში". თუ რამ სიკეთე ჰქონდა პიონერს და კომკავშირს, ყველა სიკეთე ვიგემე. ვიყავი კომკავშირის ყრილობის დელეგატიც. მაშინ მერაბ სტურუა იყო კომკავშირის რაიკომის მდივანი. ამ წლებს ძალიან კარგად ვიხსენებ. ნაირა ქორიძემ და ნათელა გელეიშვილმა გამომარჩიეს და ამირჩიეს დელეგატად. ჩემს ქალიშვილს უკვირს ახლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში რომ მიცნობენ, არადა, მე გავიზარდე ამ სახლში, ელიკო ანკვაბი იყო ჩემი მასწავლებელი, ეს გარემოცვა და ადამიანები ძალიან მიყვარს.

**_ დედაქალაქს მაინც სხვა შარმი აქვს, რატომ გადაწყვიტეთ სწავლის ქუთაისში გაგრძელება?**

_ იმდენად მიჯაჭვული ვიყავი სოფელს, სადმე თუ შეიძლებოდა წასვლა, არ მეგონა, მესამე წელს მოვეწყვე, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოწყობა ძალიან ძნელი იყო. ვიყავი სრულიად უპატრონო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ერთი ბიძა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი იყო, მეორე კი _ საქართველოს ტექნიკურ ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს. ბავშვობიდან მინდოდა, მასწავლებელი ვყოფილიყავი, მასწავლიდნენ ცოლ-ქმარი ცაცანა და გიორგი, ერთი ბიოლოგიას, მეორე _ რუსულ ენასა და ლიტერატურას. ახლა მე და თემურიც მათ მდგომარეობაში ვართ. მოვდივართ ერთად და მივდივართ ერთად. ყველა ღონისძიებაზე და მეგობრებთანაც ერთად ვართ. ვუთხარი, იქნებ სხვა სკოლაში გადავიდე-მეთქი და მიპასუხა, ეს ჩემთვის ტრაგედია იქნება, რადგან არა მარტო ცოლი ხარ, არამედ მეგობარიო. თეიმურაზი არის ურთულესი კაცი. მას ცხოვრება ვუქციე სიამოვნებად და ბედნიერებად. შეუძლებელი იყო, მისთვის რომელიმე ქალს ჩემსავით გაეგო.

**_ მეუღლისადმი მიძღვნილი არაერთი ლექსითაც ამყარებ ამ სიტყვებს, თავად გადაგიხადა ხარკი ლექსით ამ სიყვარულის გამო?**

_ კი, როგორ არა. "დაემორჩილე ქმარს, როგორც უფალს, ვით ეკლესია ქრისტეს, ძვირფასო, სითბო შენნაირს უნდა, საკუთარ სულსაც მისცემს".

**_ თამარ, თქვენს არაერთ საუკეთესო გაკვეთილს დავსწრებივარ, მინახავს გალაკტიონისა და ტიციანის სახლ-მუზეუმში როგორ დასდევდით ბავშვებს, უხსნიდით, ასწავლიდით, აჩვენებდით, სხვა ხიბლით განაცდევინებდით იმ პოეტური ადგილების სიყვარულს, წამითაც არ მოდუნებულხართ, არ ჩაგიმუხლიათ მთელი დღის განმავლობაში. საიდან გაქვთ ამდენი ენერგია?**

_ მთელი ცხოვრება ვცდილობდი მესწავლა, როგორ მესწავლებინა ბავშვებისათვის, რა მეთოდით გადამეცა მათთვის ცოდნა. ახლაც ამას ვსწავლობ, ვარ გაკვეთილზე დაუღლელი, მაქსიმალურად ვიხარჯები. ჩემი ქალიშვილი ხშირად მსაყვედურობს, ჩვენთვის, შვილებისთვის არ დაგიხარჯავს ამდენი დრო, რამდენიც შენს პროფესიას და კარიერას შესწირეო. მაქსიმალისტი ვარ. მინდა ვიყო კარგი მასწავლებელი.

**_ მოსწავლის ცოდნას მისხალ-მისხალ სწონით, თუ ნიშნის დაწერაში გულუხვობთ?**

_ მინდა, ბავშვი დავაინტერესო, ვასიამოვნო, წავახალისო. 24-ე წელია, მასწავლებელი ვარ და არასოდეს დამიჩაგრავს ვინმე.

**_ პროფესიული ბედნიერების განცდა განსაკუთრებულად როდის გამძაფრებიათ?**

_ პროფესიული ბედნიერების განცდა თითქმის ყველა გაკვეთილზე მაქვს. რაღაცას სპეციალურად მოვიტოვებ, მერე შემახსენებენ ბავშვები და ვეუბნები: ხომ ხედავთ, ბოლომდე გასწავლეთ ხეზე ასვლა, ჩემთვის არაფერი დავიტოვე-მეთქი.

**_ როგორ ახერხებთ, მოცემული პროგრამის ფარგლებში ასე კარგად ასწავლოთ გრამატიკა? მოგეხსენებათ, ენის ცოდნის თვალსაზრისით ტრაგიკული ვითარება გვაქვს ქვეყანაში. ტელეწამყვანების მეტყველებაში საერთოდ გაქრა ნათესაობითი ბრუნვა, არ იცავენ ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმებას ბრუნვასა და რიცხვში...**

_ ჩემს შვილებს ისეთ პერიოდში მოუწიათ სწავლა, გრამატიკა საერთოდ რომ გამოიდევნა სახელმძღვანელოებიდან. მათ ისე გაიარეს ეს წლები, წარმოდგენა არ ჰქონდათ გრამატიკაზე. ვიფიქრე, რაც სიმახინჯე და ქაოსი შემოიტანა იმ წლებმა, ამას სხვის შვილებს ავაცდენ-მეთქი და 2000 წლიდან თავი დავიტვირთე, არც არავინ გვაძალებდა და გვთხოვდა გრამატიკის სწავლებას, მოგეხსენებათ, წიგნები როგორაა შედგენილი, მაგრამ შემოვიტანე უსაყვარლესი ლეო კვაჭაძისა და აკაკი შანიძის წიგნები. რომ ამყვნენ ბავშვები, კარგია. პირველად მე-7 კლასში შევიტანე, ახლა ის კლასი თემურს ჰყავს და განცვიფრებულია. ამჯერად მე-5 კლასი ავიყვანე, ამ უფლების მოსაპოვებლად გამოცდა ჩავაბარე და სერტიფიკატი მოვიპოვე. ვასწავლი მე-5, მე-6, მე-7 და მე-12 კლასებს. გამოცდა უნარებშიც პირველ წელსვე ჩავაბარე. ძალიან კარგი პიროვნება, ნიკოლოზ ჩუბინიძე, ჩვენი მე-11, მე-12 კლასების სახელმძღვანელოების ავტორი გვიკითხავდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, გვამზადებდა გამოცდებისათვის, სკოლის ყოფილმა დირექტორმა, ნინო მიქელაძემ ორჯერ დამაფინანსა, რომ ქუთაისში, წყალტუბოსა და ვანში მისი ტრენინგები გამევლო. ნინო მიქელაძე იყო ადამიანი, რომელმაც თავიდან ბოლომდე შემქმნა მე. ნინო დღეს ისე სჭირდება პედაგოგიურ სამყაროს, როგორც მცენარეს წყალი.

**_ თქვენ დირექტორობის სერტიფიკატიც მოიპოვეთ, არა?**

2014 წლის ნოემბერში მივიღე დირექტორობის სერტიფიკატი. მხოლოდ ჩემი სკოლა მქონდა მითითებული. რომ დავრეგისტრირდი, ჩემმა კოლეგებმა კოდი წამართვეს, რომ არ დავრეგისტრირებულიყავი სხვა სკოლაში. არ მქონია გამძაფრებული კარიერული სწრაფვა. ერთად ვრეგისტრირდებოდით მე და თეა კარტოზია. თამრიკო, ჩემი სკოლა მიუთითეო, მითხრა თეამ, მაგრამ მე რომ მის სკოლაში მოვხვედრილიყავი, მისი 3 შვილისთვის ლუკმა წამერთმია? ვერავის მივაყენებდი ფსიქოლოგიურ ტრავმას. თანამდებობა იმისთვის არ მინდოდა, რომ ვინმე დამეზარალებინა.

**_ მინდა გკითხოთ, რატომ სჭირდება თანამედროვე მოსწავლეს რეპეტიტორი? მე-12 კლასში საერთოდ არ ტარდება გაკვეთილები, უამრავი მედალოსანი ჰყავდა გასულ წელს სამტრედიას, ვინმემ გამოიკვლია, გაამართლეს თუ არა მედალოსნებმა დაწერილი ნიშნები? თუ საერთოდ "გაფარჩაკდა" მედლის ცნება?**

_ სამწუხაროდ, ფასი დაეკარგა მედალსაც და მასწავლებელსაც. ვიცი, სამტრედიაში უძლიერესი ფილოლოგები არიან და თან რეპეტიტორები. პასუხისმგებლობას ყველა მასწავლებელი გრძნობს, არც არავის გაემტყუნება, რადგან მასწავლებლის ხელფასი იმდენად დაბალია, რეპეტიტორობა შემოსავლის წყაროა. ჩემი შვილებიც რეპეტიტორებთან მოვამზადე. მიაჩნიათ, რომ მშობლისთვისაც დიდი სახელია, მოამზადოს ბავშვი. მშობელი რომ უფრო ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროცესში, მიდიოდეს ყოველდღე, ამოწმებდეს, როგორ სწავლობს მისი შვილი, უფრო აფასებდეს პედაგოგს და გვენდობოდეს, კარგი იქნება. მოსწავლე დროის მეტ წილს ატარებს ოჯახში, მოდი, დაგვეხმაროს მშობელი, რომ მასწავლებელს ჰქონდეს ავტორიტეტი. ჩემს მოსწავლეებს ვეუბნები (არ მიწყინოს არც ერთმა ფილოლოგმა) ქართულში გადახდილი თანხა არის გადაყრილი თანხა. თუ მიჰყვები საგაკვეთილო პროცესს და იკითხავ ბევრს, შედეგს მიიღებ. კითხვით ყალიბდება აზროვნების უნარი. 21-ე საუკუნეში კომპიუტერი ინფორმაციის წყაროა, მაგრამ წიგნს იგი ვერ შეცვლის. მოდი, განვიცადოთ კითხვით მიღებული სიამოვნება, ვიკითხოთ, რადგან კოკასა შიგან ბევრი ცოდნა კითხვით ჩადის.

**_ უშუქობის, უგზოობის, კუპონის წლებში უფრო ჰქუხდნენ თქვენი მუზები თუ დალხენილ პერიოდში?**

არც ერთი ლექსი არ დამიწერია დალხინების ჟამს, პირველი კრებული 1990 წელს გამოვიდა, მისი რედაქტორი, ცნობილი ქართველი პოეტი, ზურაბ კუხიანიძე იყო, ის ქუთაისში მოღვაწეობდა. მან ჩემი ლექსები რომ წაიკითხა, შუბლზე მაკოცა და თქვა, მეორე ანა კალანდაძეაო. ბატონი თემურ ნუცუბიძე ამბობდა, ანა კალანდაძის ლექსებს ძალიან ჰგავს თამარის ლექსებიო. ანას გავლენაც შეიძლება ჰქონდეს ჩემს სტრიქონებს, ძალიან მიყვარს ანა, ასევე, ჩემი ბიძის, პოეტის, მწერლის, ფილოსოფიის დოქტორის, ზურაბ ხასაიას ლექსები. უსაყვარლესი პოეტი, რომელსაც ყოველდღამ ვკუთხულობ და ენერგიას მაძლევს, გალაკტიონია.

**_ "საუკუნეთა ლაბირინთებში ლექსით მოღელავს გალაკტიონი" _ შესანიშნავად ამბობს ერთ-ერთ ლექსში თემურ ჯულაყიძე. თქვენ გაქვთ ლექსი გალაკტიონზე?**

_ სხვათა შორის, თემურმა ლექსები მანამ გამომიგზავნა, სანამ დავქორწინდებოდით. მეგონა, ეს ასაკოვანი მამაკაცის ლექსები იყო. "სამტრედიის მაცნეში" ჩვენ ერთად ვიბეჭდებოდით. 1994 წელს დავოჯახდით, ეს იყო ყველაზე ძნელი პერიოდი ჩვენი ერის ისტორიაში და თემურის ცხოვრებაშიც.

**_ იმიტომ, რომ პირველ ოჯახთან გაწყვეტილი ჰქონდა ურთიერთობა?**

_ კი, მე არც ვიცოდი, თემური თუ დაქორწინებული იყო, იმდენად სწრაფად მოხდა ჩვენი დაოჯახება. მერე მეუბნებოდა თემური, პირველად რომ დაგინახე შავგრემანი გოგო შავ კაბაში, ვთქვი, ბედი არ მქონიაო. თემური სკოლის შენობიდან ჭიშკრამდე რომ გამოვაცილე, მითხრა, თუ არ გახდი ჩემი ცოლი, თავი არ მინდა ცოცხალიო. ჩვენი სკოლის დირექტორმა ომარ გერაძემ და ქალბატონმა მაყვალა კაშმაძემ დიდი როლი ითამაშეს ამ საქმეში. იმდენად მოეწონათ თემური, მითხრეს, ეს ცნობილი პედაგოგის შვილიაო. ვერც კი მოვასწარი მის შესახებ რაიმე მომეკითხა, ისეთი გულუბრყვილო ვიყავი.

**_ შვილები მშობლების გზას გაჰყვნენ?**

_ დღეს ვარ ზებედნიერი დედა, ყოველთვის მსურდა, ჩემი შვილი სამხედრო პირი ყოფილიყო. ის ჯარში რომ გაიწვიეს, მოხვდა სასჯელაღსრულების სისტემაში, ციხის გარე პერიმეტრის დამცველად. ეს სისტემა ისე შეიყვარა და შეისწავლა, ის სასჯელაღსრულების სისტემის გარე დაცვისა და ბადრაგირების ინსპექტორია, არის სპორტსმენი, ველოდებით უმცროსი ლეიტენანტის ჩინს. უკვე 6 მადლობა აქვს მიღებული, არის ერთგული ჯარისკაცი. ჩემგან და მამისგან განსხვავებით სიტყვაძუნწია. თამთა აბიტურიენტია, ჯერ ჟურნალისტობა სურდა, მაგრამ დავითანხმეთ, გახდეს ფილოლოგი.

**_ ბევრი საქმის კეთება გიწევთ, რთული არ არის ამდენ ფრონტზე ბრძოლა?**

_ სხვათა შორის, ბევრს ვმუშაობ ფიზიკურადაც და გონებრივადაც, როგორ ვახერხებ? დილას ვფიქრობ, პოზიტივი შევიტანო ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში. პოზიტივი შემაქვს თანამშრომლებთანაც, მეგობრებთანაც ყველაგან, სადაც დაძაბული სიტუაციაა, თავად ვქმნი ჩემს ბედნიერებას, ყოველთვის ვცდილობ, სრულვყო ეს ბედნიერება.

**_ როგორ მიულოცავ ქართველ ქალბატონებს 3 მარტს?**

_ მინდა, ყველა დედას შვილების ჯანმრთელობა, სიკეთე და ბედნიერება ვუსურვო. ყველა სირთულე სიყვარულით გადალახონ, გაუძლონ დროს, ეპოქას, თუ რაიმეს მივაღწიე ცხოვრებაში, მოთმინებით, ნებისყოფით, საკუთარ თავში ჩაღრმავებით, საკუთარ თავთან მარტო დარჩენით...

## ვედრება

დიდი ხანია რესპუბლიკის ქუჩაზე მდგარმა ჭადარმა ჩემი ყურადღება მიიპყრო უჩვეულო, საინტერესო ფორმის გამო. ვერა და ვერ მოვახერხე ფოტო გადამეღო მცენარისათვის და მკითხველისათვის გამეცნო ბუნების უმარტივესი საოცრება, უფრო სწორად მშვენიერება.

სურვილი ჩვენმა უმცროსმა კოლეგამ, რედაქციის მხატვარ-კარიკატურისტმა შოთიკო პაპავამ ამიხდინა.

მაშ ასე, ფოტოზე თქვენ ხედავთ 20-30 წლის ნაზარდ ჭადრის ხეს, რომელიც ლოცვად დამდგარ, ცად ხელებაპყრობილ მავედრებელს მაგონებს.

ერთხელ კიდევ ვირწმუნე ქვის არქიტექტურასთან შედარებით, მწვანე არქიტექტურის უპირატესობა.

ლევან გაბეჩავა



145 წლის სამტრედია

# „ჰო, რა წლები გასულა...”

***მასზე წერილის დაწერა ჩემმა უფროსმა კოლეგამ, რედაქციის პასუხისმგებელმა მდივანმა, ბატონმა ლევან გაბეჩავამ შემომთავაზა. იდეას არაფერი დაეწუნებოდა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წლეულს სამტრედია დაარსებიდან 145-ე წლისთავის აღსანიშნად ემზადება, უპრიანია გაზეთის ფურცლები მისაბაძ პიროვნებას, ყოფილი საქალაქო საბჭოს თავმჯდომარესა და კვალიფიციურ მშენებელ-ინჟინერს დავუთმოთ.***

***გიორგი (ჟორა) რევიშვილს თანაქალაქელთა, ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ მკითხველთა წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. მისი უღალატო მეგობრობის, პატიოსნების, უშურველობის წყალობით ის ღირსეულად ინარჩუნებს ქალაქის კოლორიტთა რიგებში ჯეროვან ადგილს.***

***ადამიანური სიკეთეებით სავსე, პატრიოტი კაცის ცხოვრების გზა არაერთ მნიშვნელოვან პასაჟს აერთიანებს. მრავლის მომსწრე, ცხოვრების ქარტეხილებით დაბრძენებული ჟორა რევიშვილი სიამოვნებით იგონებს გარდასულ დღეებს და ქალაქის დღევანდელობაზე გვესაუბრება.***


წინა პლანზე: ჟორა რევიშვილი და ვახტანგ ნინუა

‘‘მიუხედავად იმისა, რომ 1959 წლიდან მოყოლებული, რაც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე, მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მიმუშავია, იქნება ეს სოხუმში გატარებული წლები თუ სხვა, განსაკუთრებით მაინც 1971-1978 წლებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ყოფნის არც თუ ისე მოკლე პერიოდს გამოვყოფ. ამ პოსტზე ოთარ ნაფეტვარიძის შემდეგ დავინიშნე. რაც შეეხება ბატონ ოთარს, მეორე მსოფლიო ომის აქტიურმა მონაწილემ, ქალაქის საბჭო, ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, უდავოდ დაუმსახურებლად დატოვა’’.


შვილთან და შვილიშვილებთან

ინჟინერ-მშენებლის პროფესიით მართვის პულტის მორგება არ გაჭირვებია ჟორა რევიშვილს. იგი თავიდანვე მოვალეობის შეგნებით მოეკიდა დასახულ მიზნებს და მუშაობის პირველსავე წლებში მნიშვნელოვანი ძვრებით სასიკეთოდ დაატყო ხელი ქალაქს.

‘‘მართალია, მაშინ სამტრედია საკმაოდ მძლავრ სამრეწველო კერას წარმოადგენდა საქართველოში, მაგრამ სხვადასხვა სამუშაოს განსახორციელებლად აუცილებელი იყო დამხმარე ძალების მოძიება, მათი, ვინც ხელს გაუმართავდა, მატერიალურ მხარდაჭერას გამოუცხადებდა ჩვენს წამოწყებას. საცხოვრებელი კორპუსების სიმცირე ერთ-ერთი სუსტი წერტილი იყო სამტრედიისათვის. ვცდილობდით ძირითადი გეზი სამშენებლო კუთხით აგვეღო, ჩვენმა მიმართულებამ გაამართლა, ფაბრიკა-ქარხნების მუშახელისათვის ბინების აგება დაიწყეს.

დამერწმუნებით, ასობით ოჯახის საცხოვრებლით დაკმაყოფილება არ იყო მარტივი საქმე, მაგრამ იმ გუნდთან ერთად, რომელიც გვერდში მედგა, ეს წარმატებით შევძელი. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო რაიონის მასშტაბით სახელმოხვეჭილი, მაღალპროფესიონალი მშენებელ-ინჟინრები, რომლებიც წარმატებით ხელმძღვანელობდნენ სასწავლო, სამედიცინო, სამრეწველო, სამოქალაქო, საავიაციო ნაგებობების მშენებლობას საქართველოს არაერთ კუთხეში და ყველგან ტოვებდნენ თავიანთი შრომისმოყვარეობის, საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის კვალს. ესენი არიან: ავთანდილ ხაჟალია, ანზორ გოგოლაძე, ანტონ გეგეშიძე, რაულ ხუჭუა, ალექსანდრე მანჯგალაძე.


მარცხნიდან: ჯულიეტა გოგავა, ვაჟა ნიკოლეიშვილი, სერგო ასათიანი, ჟორა რევიშვილი, ანზორ გრიგოლია

ერთხელ, საქალაქო საბჭოში მუშაობისას, _ იგონებს რესპონდენტი, _ ჩემმა მოადგილემ აპოლონ თბაგარმა ახალგაზრდა კაცი გამაცნო. მან განგვიცხადა, რომ შეეძლო მუსიკალური შადრევნის დამონტაჟება, რაც რამდენადმე დაამშვენებდა ჩვენს ქალაქს. აზრი მომეწონა და დაფინანსებისათვის მხარდაჭერა იმჟამინდელ რაიკომის პირველ მდივანს, ბატონ ნუგზარ რუხაძეს ვთხოვე, ნუგზარმა მოიწონა აღნიშნული წინადადება და თანადგომა აღმითქვა. საფინანსო განყოფილების რეაგირების შემდეგ შადრევნის ავტორ-შემსრულებელი, ნიჭიერი ახალგაზრდა ოთარ (ჟიგული) თევზაძე დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას და მის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ უმოკლეს დროში ძველი სასტუმროს წინ მდებარე პარკში მუსიკალური შადრევანი დაამონტაჟა.

სკვერის გალამაზების საქმეს არც აგრონომ-მებაღეები, დეკორატორები ჩამორჩნენ. ძალისხმევა, ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურეს აგრონომმა, ბატონმა ვლადიმერ ლეჟავამ და მებაღე-დეკორატორმა, ქალბატონმა ლილი კანდელაკმა-ლოლაძემ. პროექტმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ხელმძღვანელობაში მეორე, მსგავსი შადრევნის დადგმაზე დაიწყო საუბარი, თუმცა, სურვილი სურვილად დარჩა. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ დღევანდელი გამგეობა და საკრებულო იფიქრებს ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმაზე’’.

ბატონი ჟორა მონატრების გრძნობით საუბრობს მათზე, ვინც სახელოვნად ილვწოდა რაიონის ავტორიტეტისათვის და საკუთარი წვლილი შეჰქონდა მისი შემდგომი აღმავლობის, განვითარების საქმეში.

‘‘1968 წლიდან სამტრედიის რაიკომის პირველ მდივანად ნოდარ კოხრეიძე იყო არჩეული. მეამაყება, რომ მომიხდა ამ ადამიანთან მუშაობა, რადგან იგი პირადი თუ საზოგადოებრივი ფასეულობებით ეჭვგარეშედ მიიჩნეოდა ხალხის ინტერესების დამცველ, საქმის გულთან მიმტან ხელმძღვანელად.

პატივისცემის ღირსია მშობლიურ რაიონზე უზომოდ შეყვარებული თამარ თავაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს VI-VII მოწვევების დეპუტატი, პრეზიდიუმის წევრი.

ჩემს მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვეს ობიექტურობით ცნობილმა კიტა შავიშვილმა, პრინციპულობით გამორჩეულმა ვაჟა ნიკოლეიშვილმა, სიმართლის შეულამაზებლად მთქმელმა ოთარ წულუკიძემ, ჩინებულმა ორატორმა, ნიჭიერმა ხელმძღვანელმა შალვა გოგავამ, ხის დამმუშავებელი კომბინატის ლეგენდარულმა დირექტორმა ვალერიან კოპალეიშვილმა, მრავალმხრივ ერუდირებულმა ანზორ გრიგოლიამ, წესრიგის მოყვარულმა ჯულიეტა გოგავამ, სამშენებლო დარგში ახალგაზრდების სამაგალითოდ აღმზრდელმა ამირან დახუნდარიძემ, აგრეთვე იური გოგიამ და ზურაბ კოხრეიძემ, რომლებმაც ჩემს შემდეგ წარმატებით განაგრძეს საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეობა, სიდარბაისლით სახელგანთქმულმა ნათელა გელეიშვილმა, სარკინიგზო კვანძის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შემტანმა რემი ვაშაკიძემ, სამტრედიის ფოტომეისტორიემ რომან ბექაიამ და მრავალმა სხვამ, რომელთა ჩამოთვლა შორს, ძალიან შორს წაგვიყვანს. სამწუხაროა, რომ მათგან ბევრი იმქვეყნიურ საქართველოში გადასახლდა და ამოუვსებელი ტკივილი დაგვიტოვა მეგობრებს, ოჯახის წევრებს’’.

ჟორა რევიშვილი სამი შვილის მამაა. მათგან ირაკლი ქირურგი, ნინო _ პედიატრი, ხოლო ნათია _ სტომატოლოგია. თმაშევერცხლილ ბაბუას შვილიშვილები: ნათია, ბარბარე, გიორგი და მარიამი უფერადებენ ცხოვრებას.

‘‘ამაღლებული, დიდბუნებოვანი ადამიანები სიკეთეს თესავენ, მდაბალნი კი იღებენ მას’’. _ დასძენდა გოეთე. ამ სიტყვების არსმა სრული განსხეულება ჰპოვა ჩვენი რესპონდენტის პიროვნებაში, რამეთუ იგი დღემდე სიკეთისა და სიმართლის სადარაჯოზე დგას.

***შოთა კაკავა***

## წლების დამარცხებაც შეიძლება



დაამარცხა კიდეც...

ვინც ბატონ ალექსანდრე (ალეკო) ბანძავას იცნობს, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში უეჭველად დაგვერწმუნება.

სოფელ კულაშში გლეხის ოჯახში დაიბადა. კულაშის ზოოვეტერინალური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სპეციალობის მიხედვით იმუშავა. მოგვიანებით, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ბატონი ალეკო სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობდა. წლების მანძილზე გახლდათ იგი სამტრედიის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნის ტექნოლოგი. დიდია მისი პირადი წვლილი იმ მიღწევებში, რითაც კანონიერად ამაყობდნენ ამ ქარხანაში დასაქმებულნი.

საოცრად აქტიური კაცია ჩვენი რესპონდენტი. არც ფიზიკურ შრომას გაურბის და სპორტითაც იმ დოზითაა დაკავებული, მისი ასაკის კაცს რომ შეეფერება. ახსოვთ სამტრედიელებს სხვადასხვა წლებში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ბატონი ალეკო ბანძავა, პირველი ადგილის დაკავებისთვის პირველი ხარისხის სიგელით არა ერთხელ რომ დაჯილდოვდა.

რამდენიმე წელია, ბატონი ალეკო სამტრედიის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა და ძალისხმევას არ იშურებს ვეტერანთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებისათვის.

ღირსეული მეუღლე, ორი შვილი და მონაგარი ულამაზებენ ხანდაზმულობის წლებს ბატონ ალეკო ბანძავას, რომელსაც ამ დღეებში 85 წელი უსრულდება.

‘‘სამტრედიის მაცნე’’ მკითხველთა სახელით სახელოვან იუბილეს ულოცავს მას, წელთა სიმრავლეს და უფლის წყალობას უსურვებს კეთილის მსურველთა გასახარად!

***ლევან გაბეჩავა***

## ‘‘მამულიშვილობის’’ სამყაროს ვარამი



ჩვენს დროში, როცა კლასიკური კულტურის ფენომენები სულ უფრო გვშორდებიან, მათთან ცოცხალი დიალოგის აღდგენის, თანამედროვე ცნობიერების სივრცეში ამეტყველების აუცილებლობა დასაბუთებას არ მოითხოვს. ისიც ცხადია, რომ საკუთარი კულტურის ისტორიასთან შინაგანი კავშირის შენარჩუნება განსაკუთრებულად სჭირდება მცირერიცხოვან ერს, რადგან მას, უწინარესად კულტურული შემოქმედების წყალობით შეუძლია საზრისის მქონე გახადოს ამ ქვეყნად თავისი არსებობა.

მამულიშვილური საქმის კეთების არაერთ მაგალითს ინახავს საქართველოს უახლესი ისტორია, მაგრამ იშვიათად თუ დაიბადება იმ რანგის პატრიოტი, როგორიც ლევან გოთუა იყო, საკუთარი მოქალაქეობრივი მრწამსითა და შემოქმედებით.

რეპრესიებს, გაუთავებელ გადასახლებებს უხვად ვხვდებით მწერლის ბიოგრაფიაში. ახალგაზრდობიდანვე დაუმორჩილებელი, რეჟიმის წინააღმდეგობისთვის მრავალჯერ პატიმრობამისჯილი მოღვაწე, რომელმაც ცხოვრების ურთულეს პერიოდში შეუდარებელი საგანძური შეჰქმნა მომავალი თაობისთვის, ქართველი ხალხის მეხსიერებაში დღემდე რჩება ‘‘გმირთა ვარამისა’’ და ‘‘მითრიდატეს’’ ავტორად.

სამშობლოსთან განშორება თმენის, ბრძოლის უნარიანობას უმუშავებდა გამოჩენილ ქართველ პროზაიკოსს. ჯერ იყო ‘‘წითლების’’ თავდასხმები და მათ იდეოლოგიასთან შეურიგებელი ბრძოლა, მოგვიანებით კი ქალაქ ვორკუტის შრომა-გასწორებით ბანაკში გატარებული 10 წელი.

‘‘პატიმარს, წერა აკრძალული ჰქონდა, მაგრამ გაუსაძლისი პირობების მიუხედავად, მწერლობისთვის თავი არ დაუნებებია. მან მოკლე დროში შეისწავლა ელექტრიკოსობა და მაღალი ძაბვის მონტიორად მოეწყო მაღაროში. შევიდოდა ელექტროსადგურში, ჩაწვებოდა ტრანსფორმატორის გვერდით ამოთხრილ ორმოში, დაიდგამდა სანთელს და წერდა. ზედამხედველები შიშით ვერ ბედავდნენ იქ შესვლას რადგან ლევანმა კარზე თავის ქალა დაახატა და ქვეშ მიაწერა ‘‘სასიკვდილოა’’. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან პიესა ‘‘სამსახეობა რაინდისა’’ და ‘‘გმირთა ვარამზე’’ დაიწყო მუშაობა’’. _ ვკითხულობთ მის შესახებ.

შორეული ციმბირისა და იმიერპოლარეთის ციხეებში სამშობლოზე ფიქრი არ ასვენებდა ლევან გოთუას. ‘‘ ...ისევ შორეული მხარე და მარტოობა. რა ვქნა, რა გზას დავადგე, ვერაფერი ვერ შევძელი, რაც არის, არის...’’ _ წერდა იგი.

1960 წელს ის დაუბრუნდა საქართველოს, მაგრამ მისადმი ზემდგომთა ინტერესი მაინც არ განელებულა. 55 წლის ასაკში მშობლიურ ქვეყანაში მყოფი გოთუა ძირეულად ჩაერთო კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. მისი რამდენიმე პიესა მარჯანიშვილის თეატრში წარმატებით დაიდგა, ლევან გოთუა მკითხველთათვის შეუდარებელ ავტორად იქცა.

საქართველოს მიწა-წყალზე თავდავიწყებით შეყვარებულმა, სიცოცხლის ბოლო წლები თავის აგარაკზე, არმაზში გაატარა, იქვე აღესრულა 1973 წელს. ფარნავაზის განსასვენებლის ახლოს დაკრძალეს მრავალჭირნახული მწერალი. 2005 წელს კი მისი ნეშტი მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის კურთხევით გადაასვენეს.

10 მარტს 110 წელი სრულდება ლევან გოთუას დაბადებიდან.

***შოთა კაკავა***

# „გოლიათ მეცნიერს" მუზეუმი უნდა ჰქონდეს მშობლიურ სოფელში

"ძნელია, ძალიან ძნელია, რაიმე დაწერო ისეთ დიდ მეცნიერზე, როგორიც ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი აკადემიკოსი აკაკი შანიძეა, _ ან იმას ვერ იტყვი, რაც უნდა გეთქვა, ან ისე ვერ იტყვი, როგორც ჯერ არს თქმა _ არც ფაქტების ოდენ ჩამოთვლა ივარგებს, არც გადაჭარბებული წიაღსვლები და ბრჭყვიალა ეპითეტები". _ წერდა მეცნიერი ალექსი ჭინჭარაული. სრულად ვეთანხმები ბატონ ალექსის და თუ მაინც ხელი მოვკიდე კალამს, თავს ვინუგეშებ, რომ არ მაქვს პრეტენზია, ბატონი აკაკის მთელი ნამოღვაწარი შევაფასო. შევეცდები, აკაკი შანიძე მკითხველს დავანახო არა როგორც დიდი ენათმეცნიერი, არამედ როგორც ყოველმხრივ ნიჭიერი ადამიანი, რომელმაც კალამი პოეზიაშიც მოსინჯა.

აკაკი შანიძე ბუნებით პოეტი იყო, ამიტომაც მეცნიერული მუშაობა მას პოეზიით დაუწყია. 1908 წელს, ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე, ასულა დუშეთში, სოფელ ხორხში, სადაც მისი ბიძა ბესო შანიძე ცხოვრობდა. იქ ჩაუწერია ლეგენდა ლაშარის ოქროსშიბიანი მუხის მოჭრის შესახებ და ლექსად გარდაუთქვამს.

აკაკი შანიძის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, 1909 წელს, დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი მიუწვევიათ სასწავლებელში. მერვე კლასის მოსწავლეს, დავით კაკაბაძეს (შემდეგში ცნობილ მხატვარს) დაუხატავს სურათი "გოჩა _ აკაკი" (დღეს ეს ნახატი ინახება ხელოვნების მუზეუმში). ამ სურათის უკანა მხარეს ასევე მერვეკლასელ აკაკი შანიძეს მიუწერია თავისი ლექსი:

ჩაფიქრებულა მგოსანი,<br>
შავი ფიქრებით მოცული,<br>
თვალწინ ეხატვის სამშობლო<br>
მტერთაგან გარემოცული.<br>
მაგრამ მას ეს არ აწუხებს,<br>
თუ ხეს ფესვი აქვს მაგარი,<br>
მას ვერ წააქცევს გრიგალი,<br>
ვერცა რას აწყენს ავდარი,<br>
გარეშე მტერი რას იზამს,<br>
თუ შიგნით ყველა მზად არი,<br>
დაიცვას თავის სამშობლო,<br>
ტურფა, ედემის სადარი... და სხვა.

"ეს სურათი გიმნაზიაში გასამართავ საღამოზე უნდა მიგვერთმია აკაკისთვის, მაგრამ რაკი ამის ნებართვის მიღებას დააგვიანდა, და შეიძლება სულაც ვერ მიგვეღო, ავდექით და იგი 21 დეკემბერს თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე მივართვით". _ წერს აკაკი შანიძე ("მნათობი" № 9. 1960 წ. გვ. 7).

ამ საიუბილეო საღამოზე ახალგაზრდა აკაკი შანიძემ მოხსენებაც გააკეთა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში რომანტიკული მიმართულების შესახებ და ეს ახსნა, როგორც შედეგი ცარიზმის პოლიტიკისა მე-19 საუკუნეში. მოხსენებას დარბაზში დიდი ტაშისცემა და ოვაციები მოჰყოლია. სწორედ ამის გამო გიმნაზიის დირექციამ დასვა საკითხი ა. შანიძის გიმნაზიიდან გარიცხვის შესახებ. თუმცა გადარჩა, ყოფაქცევაში სამიანი დაუწერეს და ვერცხლის მედლის მიღებაც ეჭვქვეშ დადგა.

ასეთი მარცხი მოჰყვა პირველი ლექსის და პირველი მოხსენების გამოქვეყნებას აკაკი შანიძისთვის.

1917 წლის 5 დეკემბერს ჟურნალ "პრომეთეში" გამოქვეყნდა აკაკი შანიძის "ქართული ეროვნული ჰიმნი". ამ ლექსში ყოველი სიტყვა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითაა გაჟღენთილი. მასში ქართველი ერის გავლილი გზა და გაფრთხილებაა მოცემული:

"აბა, ფხიზლად, ქართველებო, მივყვეთ მამა-პაპათ კვალსა!

წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!

სამიათას წელზე მეტი გვიცხოვრია როგორც ერსა,

მრავალ შავ დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა,

უსიკვდილოდ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა,

გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერთ ჩვენს ტკბილ "მრავალჟამიერსა!"

ბევრმა დღესაც არ იცის, რომ ამ საოცრად იმედიანი და ლამაზი ლექსის ავტორი ჩვენი თანამემამულე, დიდი ენათმეცნიერი ბატონი აკაკი შანიძეა, რომელსაც პოეტობაზე პრეტენზია არასდროს ჰქონია და რომლის უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა 12 ტომს მოიცავს.

"ქართულ ეროვნულ ჰიმნს" გასცნობია ჩვენს რაიონში მოღვაწე კომპოზიტორი ბატონი ბენია მიქაძე და მასზე სიმღერა შეუქმნია. დიდხანს ასრულებდა ამ სიმღერას სამტრედიის უხუცესთა ანსამბლი "სანავარდო" (სათაურით _ "სამიათას წელზე მეტი").

ფშავ-ხევსურეთში ექსპედიციების დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი აკაკი შანიძე დაუახლოვდა და ძმად გაეფიცა სახალხო მთქმელს, ბესარიონ გაბუურს. ის მშვენიერ ლექსებს წერდა, თავის თავს ხუმრობით "ბესარიონა _ ვაჟას" ეძახდა, აკაკის კი "გურიელას". ა. შანიძე ლექსებად წერდა წერილებს ბესარიონს. მის გამოწვევას ცდილობდა. მისი პასუხები წმინდა ხევსურული ლექსებია.

ბესარიონ გაბუურს პირველ მსოფლიო ომში მიუღია მონაწილეობა, დაჭრილა და პეტერბურგის ლაზარეთში მოხვედრილა ობუხოვოში. აკაკი შანიძეს გაუგია პეტერბურგში ქართველი დაჭრილი მეომრები ჩამოუყვანიათო და მათ სანახავად წასულა. იქ უნახავს ძმადნაფიცი ბესარიონი, აკაკი, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა ქართველ დაჭრილ მეომრებს. ბესარიონი მალე საქართველოში დაბრუნდა. ძმადნაფიცებს მიწერ-მოწერა ერთმანეთთან ლექსებით ჰქონიათ. ერთხელაც აკაკის ბესარიონი "გაულექსებია" _ მიუწერია ხევსურულ ყაიდაზე გამართული ლექსი, რომელშიაც გაუხსენებია თავისი მგზავრობა ხევსურეთში და დავით გურამიშვილის სიტყვებით "გაუსენავ" (გაუკენწლავს) იგი:

"დიყთა მაჭმევდეს ხილადა,<br>
მახვრიტეს ხინკლის წვენია".

"დიყი" არის მაღალი მცენარე, რომელსაც საჭმელად ვარგისი ღრუიანი ღერო აქვს. ბესარიონი, რა თქმა უნდა, "გურიელას" იმას არ აპატიებდა, რომ არხოტელები სტუმარს დიყით გაუმასპინძლდნენ. არც აპატია. აი მისი პასუხი:

"რა მაგიწერავ, აკაკო, რად გამაღრიე სენია?

დიყის ჭამაში ვაჟები ვინ ღნახე არხოტელია?

შენ დიუ ხევსურეთ გიჭამავ, გიხვრეტავ ხინკლის წვენია.

მე ქვე რაზედაღ მამწერე, ეგბრალ რაია ჩვენია?

რაში აფერე ერთურცსა ხევსური, არხოტელია?

დიყს არ ჭამს არხოტივნები, ხორც უწყვავ რამოდენია.

კლოვ კი აღარცად მაგიხდას, კაცო, აუგი ჩვენია,

თორე ლექსს გეტყვი ისეთსა, არ იყოს მოსათმენია.

მაგის მეტს აღარ გიამბობ, ღმერთმ მაგიმ, ართას ხელია!

უფერ აღარა მამწერა, არ გამაღრივა სენია!"

მშვიდობით გურიელავ! ხელ მაგიმართას, კლოვ აღარცად მაგიხდას, რომავ "არხოტ დიყი ვჭამევ", თორემ მაგთხრი, მაგხახავ". ბესარიონა _ ვაჟა.

მომდევნო ლექსი, რომელიც მინდა გაგაცნოთ, უფრო სალაღობო ხასიათისაა. ის ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას სახელს უკავშირდება. ის და აკაკი შანიძე ერთად სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში, გარკვეული ხანი ერთ ბინაშიც ცხოვრობდნენ. მერე კონსტანტინე გერმანიაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. მათ მიწერ-მოწერაც ჰქონდათ ერთმანეთთან. ერთ-ერთ წერილში კონსტანტინე წერდა აკაკის _ "მომიკითხე ჩემი სატრფო, დუნდუას ქალი მარო". აკაკის უთქვამს, არ ვიცნობდი ამ ქალს და ლექსი მივწერე კოწიას ასეთიო:

"მოგიკითხო? რომ არ ვიცნობ<br>
დუნდუას ქალს, მაგ შენს მაროს?<br>
ღმერთმა ტკბილად შეგაბეროს<br>
და კეთილად მოგახმაროს.<br>
შენ მანდ იყო, ის კი _ აქა,<br>
ვაი, თუ ვინმე დაემუშტრა,<br>
ეს ბუნების კანონია,<br>
ამას ამბობს ზარატუშტრა".

ლექსი ჩავიწერე რომანოზ დოლიძისაგან (ყოფილი მემორიალური მუზეუმის დირექტორი სოფელ ნოღაში).

ვფიქრობ, მარო დუნდუა დასავლეთ საქართველოდან იყო ჩასული პეტერბურგში სასწავლებლად. შეიძლება სამტრედიელიც კი იყო. ამიტომ დაავალა ბატონმა კონსტანტინემ ბატონ აკაკის სატრფოსთვის მოკითხვის გადაცემა. როგორც ვიცი, დუნდუები სამტრედიაში დღესაც ცხოვრობენ.

მინდა თქვენი გაზეთის მკითხველებს ვთხოვო: იქნებ იცნობდით ვინმე მარო (სავარაუდოდ, მარიამ) დუნდუას, რომელსაც ისეთი ახლო ურთიერთობა ჰქონია დიდ მწერალთან _ კონსტანტინე გამსახურდიასთან, რომ მას სატრფოდ მოიხსენიებდა. ეს ქალბატონი იქნება ვინმეს ბებია ან დიდი ბებია იყო. გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ!

ყველა ქართველი პოეტია და ყველა ქართველი პოეტი ორჯერ პოეტიაო, _ უთქვამს ქართველზე უცხოელებს. მე შევეცადე, აკაკი შანიძე სწორედ ამ კუთხით გამეცნო მკითხველისათვის. დამერწმუნეთ, რომ ის პოეზიის სიყვარულითაც გამორჩეული პიროვნება იყო. ახლა კი მინდა გამოვთქვა, ჩემი გულისტკივილი: ისეთი რანგის ენათმეცნიერს, როგორიც ბატონი აკაკი შანიძე ბრძანდებოდა, არ აქვს ნოღაში მუზეუმი.

მიმდინარე წლის 26 თებერვალს სახელოვან ენათმეცნიერს და დიდ მამულიშვილს, ბატონ აკაკი შანიძეს დაბადებიდან 128 წელი უსრულდება. მას უფალმა ხანგრძლივი სიცოცხლე აჩუქა იმისთვის, რომ ბოლომდე დახარჯულიყო მშობლიური ერისა და ენის სამსახურში (დიდი მეცნიერი 100 წლისა გარდაიცვალა).

აკაკი შანიძის უზარმაზარი მემკვიდრეობა 12 ტომს მოიცავს და ქართველოლოგიის თითქმის ყველა არსებით უბანს სწვდება. უდიდესია მისი დამსახურება პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეშიც.

ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი ჰოვარდ არონსონი წერს: "თუ კავკასია "ენების მთაა", მაშინ საქართველო ლინგვისტთა ერია. იშვიათია მეორე მცირერიცხოვანი ერი მსოფლიოში, რომელსაც ამდენი ლინგვისტი მიეცეს მსოფლიოსათვის. მათ შორის აკაკი შანიძე პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. იგი ეროვნული გმირია თავის სამშობლოში, და ჩვენ, ევროპისა და ამერიკის ლინგვისტებმა, ჩვენი პატივისცემა უნდა გამოვხატოთ ამ გოლიათი მეცნიერისადმი".

სოფელ ნოღის ინტელიგენცია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან "იბრძოდა" (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), რომ ამ "გოლიათ მეცნიერს" მისი ღვაწლის შესაფერისი მუზეუმი ჰქონოდა მშობლიურ სოფელში. 1999 წელს გაიხსნა კიდევაც პატარა მემორიალური მუზეუმი, რომელმაც 2007 წლამდე იარსება.



უკეთესი შენობის მოლოდინში 8 წელია ეს პატარა შენობაც დაკეტილია და 8 წელია არ გამოჩნდა სამტრედიის რაიონში თავკაცი, რომელიც ნოღელების თხოვნას გულთან ახლოს მიიტანდა და ღირსეულ პატივს მიაგებდა ბატონი აკაკი შანიძის ხსოვნას.

ჩვენ, ნოღელები ისევ ვაგროვებთ ხელმოწერებს, ისევ, ვწერთ განცხადებებს და თხოვნებს სხვადასხვა ინსტანციაში სოფელ ნოღაში მუზეუმის ფუნქციონირების აღდგენის თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოა ჩვენი მცდელობა. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?

იქნებ რაიონის ახალ ხელმძღვანელობას ხვდეს, პატივი წილად, დადებითად გადაჭრას ეს საკითხი. ვნახოთ!

**ნათელა ბრეგაძე**

*ნოღის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

## ჩვენი დიდი სურვილია

ტოლების საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა, პედაგოგ მაია ჭკუასელის ხელმძღვანელობით გადავწყვიტეთ, მოგვენახულებინა აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი სოფელ ნოღაში, მისი ბიოგრაფიისა და ღვაწლის უკეთ გაცნობის მიზნით. სამწუხაროდ, დიდი ენათმეცნიერის სახლ-მუზეუმი დაკეტილი დაგვხვდა. ნოღის საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ ციალა გრიგოლიას მიერ მოწოდებული ინფორმაციით გავარკვიეთ, რომ მუზეუმი 2006 წლის შემდეგ არ ფუნქციონირებს, ხოლო ნივთები, ხელნაწერები და ფოტოები, რომლებიც მუზეუმში იყო დაცული, დღესდღეობით ნოღის საჯარო სკოლის ერთ-ერთ ოთახში ინახება. ქალბატონი ციალას წყალობით ჩვენ მოვახერხეთ დაგვეთვალიერებინა ენათმეცნიერის კუთვნილი ყველა ნივთი და ხელნაწერი, რამაც ჩვენზე საინტერესო შთაბეჭდილება მოახდინა.

მართალია, მუზეუმის ექსპონატები მეტ-ნაკლებად დაცულია ნოღის საჯარო სკოლაში, თუმცა მათთვის აუცილებელია ადეკვატური გარემო. მუზეუმი ნგრევას განიცდის, მორღვეულ კედლებს ესაჭიროება შეკეთება, რათა მეცნიერის ნივთები დაუბრუნდეს მშობლიურ გარემოს.

ჩვენი დიდი სურვილია, დაფასდეს აკაკი შანიძის ღვაწლი და ამოქმედდეს მეცნიერის ბავშვობის კერა, სახლ-მუზეუმად, რომელიც არა მარტო რაიონის, არამედ მთელი ქართველი ახალგაზრდობისთვის მეტად საინტერესო სანახავი იქნება. ისინი უკეთ გაეცნობიან დიდი ენათმეცნიერის, აკაკი შანიძის ბიოგრაფიას.

**ტოლების საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები**

## ვწეროთ და ვიმეტყველოთ გამართული ქართულით

მრავალმხრივ საინტერესო, შემოქმედებითი, აკადემიური _ ასე შეიძლება მოკლედ შეფასდეს გაკვეთილი, რომელიც მშობლიური ენის დაცვას მიეძღვნა № 1 საჯარო სკოლაში. პედაგოგ მადონა თარგამაძის მე-7 კლასელმა მოსწავლეებმა შესაშური ნიჭიერება გამოავლინეს. ქალბატონმა მადონამ განაცხადა, რომ ვინაიდან ენის წინაშე ყველანი ბევრს ვცოდავთ, როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე მედია-საშუალებები თუ ჩინოსნები, გაკვეთილის დევიზად და მოწოდებად შეარჩიეს "ვწეროთ და ვიმეტყველოთ გამართული ქართულით". როგორც მოსწავლეებმა გვითხრეს, მათი მთავარი მიზანი მშობლიური ენის საფუძვლიანად შესწავლა, პატრონობა და დაცვაა.

პედაგოგმა აქტივობები სხვადასხვა სახეობებად დაჰყო, ყველა დავალებას მოსწავლეებმა თავი კარგად გაართვეს. ჯგუფი ფონეტიკის, მორფოლოგია-ორთოგრაფიის და ჟურნალისტთა სექციებად დაიყო. საინტერესო იყო ჟურნალისტთა სექციის მიერ ქალაქში მოწყობილი ე. წ. "რეიდის" შედეგად მოპოვებული ენობრივი ნორმების დარღვევის ფაქტები, მოსწავლეებმა შეისწავლეს სარეკლამო დაფებზე, აბრებზე და აფიშებზე განთავსებული წარწერები და წარმოადგინეს დაშვებული შეცდომები: "დაჭერების, დაპატიმრებების სერია", "ისმოდა სროლები", "შენ ჩემი სიმპატია ხარ", "საქმე იმაშია", "ფაქტიურად", "რელიქვია" და სხვა.



მოსწავლეებმა პედაგოგის მიერ მიცემული მცდარი ტექსტები გაასწორეს. განსაკუთრებულად საინტერესო ანბანთა გაპაექრება იყო.

ა, პ და ჰ ერთმანეთს ძალზე საინტერესოდ გაეპაექრნენ, მჭერმეტყველმა ა-მ თავი იმით მოიწონა, რომ გოგებაშვილის "დედაენის" გასაღებია, ლექსიკონის თავფურცელი. მე ისეთი მკვეთრი ბგერა ვარ, განაცხადა პ-მ, ყველა ქვეყნის საკუთრება ვარ, პური ვარ არსებობისა. რა დრო დადგა? ჰაემეტობის ხანაში (ჰუმჯობესი, ჰუკეთესი), ჰარი-ჰარალით მოვუყვებოდი სიტყვათა ლეგიონებს, ახლა კი სულ ბოლოში ვარო დაიჩივლა ანბანის ბოლო ასომ, მაგრამ თავი იმით ინუგეშა, რომ მისგან მოდის ქართული სიმღერების ზღაპრული ჰარმონია. აკაკი თევზაძემ, ნიკა გრინევსკიმ და ზურა ნიკურაძემ შესანიშნავი ოსტატობა, მსახიობური და მჭერმეტყველების ნიჭი გამოავლინეს.



"ლაზარეს აღდგინება", ნინო ტყეშელაშვილმა დახატა, მოსწავლეებს მოთხრობის დაწერა დაევალათ. სტიქაროსანმა გიორგი ღვინერიამ შესანიშნავად აღწერა, უფლის ჯვარცმის წინ, უფლის მიერ განხორციელებული უდიდესი სასწაული და თქვა, რომ ლაზარე სიმბოლოა საქართველოსა და ქართული ენისა.

მოსწავლეების ერთ-ერთი აქტივობა ენის გასატეხი გამოთქმების გამეორება იყო. გაკვეთილის ბოლოს მადონა მასწავლებელს ტექსტზე დაწერილი ანბანთა საგალობელი სიმღერად ააჟღერა ნიკა გრინევსკიმ. ჟურნალისტთა სექციამ გაკვეთილის ბოლოს კედლის გაზეთიც გამოუშვა.

იდეათა გენერატორი უწოდა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ციური ხურცილავამ გაკვეთილის ბოლოს მადონა თარგამაძეს. საუკეთესო გაკვეთილის გამო პედაგოგს მადლობა გადაუხადეს გაკვეთილზე სტუმრად მყოფმა რესურსცენტრის სპეციალისტმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ, დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ლია ამაღლობელმა, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ ეკა შვანგირაძემ.

დასასრულს, მადონა თარგამაძემ მეშვიდეკლასელი გიორგი თადუმაძის წარმატებაც გვამცნო და განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიადაში London School მან ქართულ ენასა და ლიტერატურაში იმერეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

**ნათია ნაცვლიშვილი**

სამტრედიის მაცნე



# ეროსი მანჯგალაძე _ 90

## ცხოვრება თეატრში და თეატრის მიღმა

***1982 წლის 26 იანვარი, ზამთრის სუსხი კიდევ უფრო ამძაფრებს იმ ტკივილს, რასაც უეროსობა ჰქვია. გულმა უმტყუნა გულიან კაცს, ბუმბერაზ მსახიობს, მაყურებლისა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ეროსი მანჯგალაძეს. ალალი ცრემლით დაიტირა იგი მთელმა საქართველომ, მაგრამ ხალხის ასეთ სიყვარულამდე იყო წინააღმდეგობებით სავსე გზა.***

თუმანიშვილის "შვიდკაცამ", რომელშიც იმედისმომცემი, დამწყები მსახიობების მთელი ანსამბლი იყო წარმოდგენილი, ნამდვილი გადატრიალება მოახდინა თანამედროვე თეატრალურ სამყაროში.

მათი მუშაობის სტილი სრულიად ახლებური, დახვეწილი, ჯერ არნახული იყო დიდი ისტორიის მქონე სასცენო ხელოვნებაში და ამან განაპირობა მსახიობების შემოქმედებითი უჟანგავობა.

თუმცა კი, ეროსი ახალგაზრდა არტისტი გახლდათ, მასში მაინც ქართული მონუმენტური თეატრის ყველაზე კო-



ლორიტული წარმომადგენლის, აკაკი ხორავას მემკვიდრეს ხედავდნენ. ალბათ იმიტომ, რომ მან შეასრულა პირველად როლები ხორავას რეპერტუარიდან. მათ შორის "ოიდიპოს მეფე" _ როლი, რომლითაც პირველად გაითქვა სახელი საქართველოს საზღვრებს გარეთ. ბერძნული ეპოსის ეს გმირი მეტად საგულისხმოა ე. მანჯგალაძისა და ზოგადად, რუსთაველის თეატრის ისტორიაში.

სოფოკლეს პერსონაჟმა ზენიტში აიყვანა ეროსი. ამ დროს კი თეატრში სერგო ზაქარიაძე მოვიდა, ოიდიპოსის როლის ახალი შემსრულებელი.

ეს პერიოდი საბედისწერო აღმოჩნდა მანჯგალაძისთვის. როგორც თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე დასძენს: "სიყვარულისა და სიკეთისთვის შექმნილმა, უაღრესად ზრდილმა, გულმართალმა ეროსიმ, თეატრში მისვლის პირველივე დღეებიდან შეიძულა სერგო ზაქარიაძე. თითქმის არ ელაპარაკებოდა, ზურგს აქცევდა, მისთვის უჩვეულო მკვახე ტონით პასუხობდა (თუკი პასუხობდა). ისე წავიდა ზაქარიაძე ამ ქვეყნიდან, რომ ეროსის მასზე გული არ მოუბრუნებია..." შესაძლოა, ეს ყველაფერი ავი ენების ბრალიც იყო.

რუსთაველის თეატრში ცხოვრება გრძელდებოდა, წარსულის ტკივილის, შეცდომების დავიწყებას ახლის წარმოქმნა უწყობდა ხელს. სტურუას ეპოქამ "კავკასიური ცარცის წრითა" და "რიჩარდ III"-თი დაიწყო მწვერვალების დაპყრობა. ბრეხტის დრამატურგიულმა ნიმუშმა აღიარებასთან ერთად ბევრი გულისწყრომა მოუტანა რეჟისორს. მსახიობებმა არარსებულ დაპირისპირებაზე მითქმა-მოთქმით მყარი ხიდი ჩაამტვრიეს რუსთაველის თეატრის ტიტან არტისტებს შორის და ჩხიკვაძე-მანჯგალაძის კონფლიქტს დროში განფენილი ინტერესი ხვდა წილად. მიუხედავად ამისა, ეროსის როლები თეატრის სავიზიტო ბარათად დარჩა.

გულღია მსახიობს მეგობართა თვალუწვდენელი არმია ედგა გვერდში. ფეხბურთის მოყვარულ ეროსის, ქართული სპორტული რეპორტაჟების პიონერ კომენტატორსა და დიქტორს ხავერდოვანი ბარიტონი ყველასგან გამოარჩევდა. გამორჩეული იყო მისი სცენური პლასტიკაც, რომელიც მუდამ ემახსოვრებათ ეროსისეული "აზდაკის", "ივანე ფანტიაშვილისა" და "ზიმზიმოვის" მნახველებს.

### 24 ოქტომბერს სამტრედიაში...

2003 წლის შემოდგომაზე დიდი მზადება იგრძნობოდა სამტრედე ქალაქში. სოფელ ღანირში დაბადებულ ეროსი მანჯგალაძეს სიცოცხლეშიც არაერთხელ უმასპინძლა მშობლიურმა მხარემ, მაგრამ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა პატივი და დიდება აწ გარდაცვლილი მსახიობის ხსოვნისთვის უნდა მიეგოთ. იმ დღეს, მრავალრიცხოვანი, წარმომადგენლობითი სტუმარი ეწვია სამტრედიას. ადამიანები, რომლებიც ახლოს იცნობდნენ დიდ არტისტს და მოსაგონარიც საკმაოდ ბევრი ჰქონდათ.




ყველა მოუთმენლად ელოდა ეროსის ბიუსტის ხილვას, რომლის დადგმის მიზეზი, რაიონის გამგეობის მიმართ გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციის წერილების განყოფილების გამგის, ბატონი ანზორ გრიგოლიას დაჟინებული შეხსენება გახდა.

თეატრალები, ბატონები: ჯემალ ღაღანიძე, კარლო საკანდელიძე, რობერტ სტურუა, დავით კვირცხალია, სოსო ლაღიძე, ლევან როხვაძე, ასევე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მოჭიდავე ბატონი ვახტანგ ბალავაძე, ამაღლებული განწყობით გამოდიოდნენ დამსწრეთა წინაშე და მსახიობის ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებზე ესაუბრებოდნენ შეკრებილთ.

რედაქციის არქივში შემონახული ფოტოები, რომლებიც ბიუსტის გახსნის დღეს, ჩვენი გაზეთის ყოფილი ფოტოკორესპონდენტის, რომან ბექაიას მიერაა გადაღებული, ერთი ორად ნათლად აღსაქმელს ხდის იმ განწყობას, რაც ღონისძიების მსვლელობისას სუფევდა.

მას შემდეგ 12 წელი გავიდა, მიმდინარე წლის 3 მარტს ეროსი მანჯგალაძეს 90 წელი უსრულდება. ვიმედოვნებთ, სამტრედიელები სახელოვანი თანამემამულის ღირსეულ იუბილეს მოკლე დროში იზეიმებენ.

***შორენა კაკაბაძე***



ჯემალ ღაღანიძე, კარლო საკანდელიძე, ტარიელ ხაჟალია, ლევან როხვაძე



ანზორ გრიგოლია და კარლო საკანდელიძე

## გურული სიმღერები

ყველაზე დიდი შემოქმედი ხალხია. ისინი ჰქმნიან პოეზიას, სიმღერას, ცეკვას. ყოველ ქართველში ბუნებრივად არის თანდაყოლილი სიმღერის ნიჭი.

ხალხი შრომობდა თუ ომობდა, ლხინობდა თუ სწუხდა, სიმღერებში გამოხატავდა თავის გულისთქმას. ქართველი კაცის ნაფიქრი შორეული წარსულიდან დღემდე მომხიბვლელად მოჰქონდათ ხალხურ მთქმელებს.

მინდა, მკითხველის ყურადღება ამჯერად გურულ სიმღერებს მივაპყრო. ისინი ქართველი ხალხის მუსიკალური შემოქმედების თავისებურ განშტოებას ჰქმნიან. ჩემი აზრით, ამ მძლავრ და თვითმყოფად ეროვნულ საუნჯეს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო მუსიკის ხელოვნებაში.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში გურული სიმღერები მოისმინა დიდმა ფრანგმა მწერალმა და მუსიკათმცოდნემ რომენ როლანმა. იგი განცვიფრდა, რომ ესოდენ მაღალი პოლიფონიური ოსტატობით შექმნილი სიმღერები ხალხურია და არა რომელიმე დიდი კომპოზიტორის შემოქმედების ნაყოფი.

გურული საგალობლების შეკრებაში დიდი წვლილი მიუძღვის მომღერალ ფილიმონ ქორიძეს, ჩვენი რაიონის მკვიდრს, მაგრამ მის მიერ ჩაწერილი საგალობლები არ დაბეჭდილა და მხოლოდ ხელნაწერის სახითაა შემორჩენილი. გურული მომღერლები კი, რომლებმაც შთამომავლობას შემოუნახეს ესოდენ დიდი განძი, თანდათან წავიდნენ ჩვენგან. სიმღერებს დაკარგვის საფრთხე დაემუქრა, მაგრამ ბოლო დროს საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცა. ლომის წილი ამაში უდავოდ მიუძღვის სულ ახლახან ჩამოყალიბებულ საქართველოს ფოლკლორული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ ანზორ ერქომაიშვილს. მისმა ბაბუამ, არტემ ერქომაიშვილმა გურული სიმღერების შესწავლას და პოპულარიზაციას მთელი თავისი ცხოვრება შეალია.

იგი დაიბადა 1887 წელს სოფელ მაკვანეთში. მან დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სკოლა და ოჯახის ხელმოკლეობის გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება. 1951 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. გარდაიცვალა 1967 წელს. დასაფლავებაზე ტრადიციისამებრ შესრულდა სამგლოვიარო საგალობლები ძველი მომღერლებისა და ანსამბლ "გორდელას" მიერ.

გურულ სიმღერაში განსაკუთრებული კოლორიტი კრიმანჭულს შემოაქვს, უპირველეს ყოვლისა, იგი მაღალი ხმაა და მომღერლისგან სპეციფიკურ ვოკალურ ტექნიკას მოითხოვს. კრიმანჭული ნახტომებზეა აგებული, ძირითადად, სამი ბგერისაგან შედგება.

გურულ სიმღერებს უმეტესად სამი კაცი (ტრიო) ასრულებს. განსხვავებით ორპირული სიმღერებისა, არსებობს აგრეთვე, გადაძახილიანი სიმღერები. გადაძახილი ერთხმიანია, ორხმიანი და სამხმიანი. როცა გადაძახილი ორხმიანია, მას ასრულებენ ბანები და პირველი ხმები. გადაძახილიან სიმღერებში ტრიოს ენაცვლება ოთხი ან მეტი კაცი.

სიმღერების მცოდნე კაცს გურიაში დიდი დაფასება ჰქონდა. როდესაც ქალს ათხოვებდნენ, ყოველთვის იკითხავდნენ, იცის თუ არა სიძემ სიმღერაო. თუ იცოდა, მისი ავტორიტეტი ერთი ორად იზრდებოდა ქალის ნათესავების თვალში.

გურული მომღერლები ცდილობდნენ, ცოლი მომღერალთა ოჯახიდან შეერთოთ, რათა მემკვიდრეს მუსიკალური ნიჭი დაჰყოლოდა. სიმღერა ითვლებოდა გურიაში ერთ-ერთ განმკურნებელ საშუალებად. მას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სახადით, კერძოდ, წითელა, ყივანახველა ბატონებით დაავადებულის განსაკურნად. ავადმყოფთან ღამისთევის გარდა ჩონგური გამოიყენებოდა. ჩონგურზე დამკვრელ ქალს გურიაში დიდი დაფასება ჰქონდა.

კარგი მგალობელ-მომღერალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, იგი ყველას უყვარდა, ყველასთვის პატივსაცემ პიროვნებად ითვლებოდა. მას საზოგადო მოღვაწედ სთვლიდნენ.

სიმღერა-გალობა გურიაში საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ დღესასწაული, ქორწილი, შრომის პროცესიც უსიმღეროდ ვერ ჩაივლიდა.

სიმღერა და საერთო საგალობლები განუყრელი ნაწილი იყო გურული სუფრისა.

გურიაში ქორწილი ერთდღიანი ან ერთღამიანი იცოდნენ. მასპინძელი ცდილობდა, იმ დროს სახელგანთქმული მომღერლები მოეპატიჟა, სტუმართან რომ არ შერცხვენილიყო. ქორწილი იწყებოდა "მაყრულით".

დედოფლის ეზოსთან მიახლოების დროს ამ სიმღერას შეასრულებდნენ ასეთი ტექსტით:

"ჩვენ მოვდივართ მაყრები, რჩეული და კარგები,
მასპინძელო, გეიღვიძე, გაგვინათე სანთლები".

პირველად თამადა მშვიდობის სადღეგრძელოს შესვამდა, რასაც მოჰყვებოდა სიმღერა "ჩვენ მშვიდობა". მეორე სასმისით, ქორწილის დროს, თამადა ადღეგრძელებდა ნეფე-დედოფალს, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა "შენ ხარ ვენახი" და "მრავალჟამიერი".

ძეობაში ახლად დაბადებულს უმღეროდნენ "ქრისტეშობის საგალობელს".

ასეთი გახლდათ მოკლე შინაარსი და მიმოხილვა გურული სიმღერებისა, რომლებიც დღესაც კი არ ჰკარგავს თავის აქტუალობას და წარმოადგენს ქართული მუსიკის ოქროს ფონდს.

***ირაკლი გრიგოლია***

## "არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს"

***(ვუძღვნი ჩემს მასწავლებელს ქალბატონ ნინო ნიკურაძეს)***

საერთოდ ადამიანის ცხოვრება არის ჭეშმარიტების ძიების გზა. იგი სიკეთით, კეთილშობილებით, სიყვარულითა და თანადგომით უნდა იყოს სავსე. წუთისოფელი უამრავი დაბრკოლებითაა სავსე, მაგრამ ჩვენ ადამიანებმა ამ ყოველივეს უარყოფითად კი არ უნდა შევხედოთ, პირიქით, უკეთესი მომავლისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ილია ჭავჭავაძეც ამას გვასწავლის: "ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი". სწორედ ამას ემსახურება ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: "არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს". პოეტი შთაგვაგონებს იმას, რომ ცხოვრებაზე ხელი კი არ უნდა ჩავიქნიოთ და განზე გავდგეთ, არამედ სიკეთე ვთესოთ და ვიზრუნოთ სხვათა ბედნიერებაზე. ეს არის ადამიანური ვალი, რომელიც დაგვაკისრა უფალმა და რომლის გარეშეც ცათა სასუფეველში თავის დამკვიდრება შეუძლებელია.

ყველა ადამიანის ვალია "სოფლისათვის ზრუნვა", ანუ ისეთი საქმის გაკეთება, რომელიც სასარგებლოა როგორც მოსახლეობისთვის, ისე ქვეყნისთვისაც. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვეცადოთ, რომ ვაკეთოთ, რაც შეიძლება, ბევრი კეთილი საქმე და ვიზრუნოთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, რადგანაც გვქონდეს იმედი მომავლის გაუმჯობესებისა.



დღესდღეობით უამრავი ადამიანია, რომელიც ზრუნავს "სოფლისათვის". არ მინდა შორს წავიდე და ჩემს ირგვლივ მყოფ ადამიანებს შორის გამოვარჩიო ჩემი მასწავლებელი ნინო ნიკურაძე. ადამიანი, რომელიც დაახლოებით შვიდი წლის განმავლობაში დადიოდა სოფლებში კარდაკარ და აგროვებდა ხელმოწერებს, რათა აღედგინა საბავშვო ბაღი, რომელიც სოფლის მოსახლეობას ძალიან ესაჭიროებოდა და მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. სწორედ ამ მიზანდასახულმა ქალბატონმა აუხდინა პატარებსა და მათ მშობლებს ეს ნატვრა. მართალია, ამჯერად ბაღი მაინც კერძო სტატუსით სარგებლობს და თანხაც მიზერულია, თუმცა, მისი გადახდის საშუალებაც კი არა აქვს სოფლის მოსახლეობას, ამიტომ დღემდე იბრძვის ნინო მასწავლებელი, რომ ბაღი სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაიყვანოს და სოფელს ხელმისაწვდომი პირობები შესთავაზოს. ეს მართლაც ხალხისთვის უანგაროდ გაკეთებული კეთილი საქმეა. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, რომ შენს ქვეყანას აღუზარდო სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობა.

მაშასადამე, ჩვენ ადამიანებმა უნდა ვიზრუნოთ მომავლისთვის და მაგალითი ავიღოთ პიროვნებებისაგან, რომელთა მთავარი მიზანია "სოფლისათვის ზრუნვა" და კეთილი საქმის კეთება.

***სიყვარულით თქვენი მოსწავლე ნანუკა ნიკოლეიშვილი მე-8 კლასი სკოლა "ცოდნა"***

# "ოცნების მერანს ფაფარზე ქარივით ჩააფრინდები"

*აკაკი თევზაძის ყოველი მობრძანება რედაქციაში დღესასწაულია. შემოაღებს კარს პოეტი კაცი "სავსე ქართული პატიოსნებით", შუამთის ნოყიერი და მადლიანი მიწის სურნელით გაჟღენთილ ლექსებს მოგვიტანს, გვაზიარებს ქვეყნის სატკივარს ლექსად აკინძულს, მისეულად აღქმულს და პოეტური სულის ქურაში გატარებულს. სხვაგვარად დაგვაფიქრებს წუთისოფლის ამაოებასა და ადამიანურად ყოფნის ტკბილ-მწარე სევდაზე.*

*ბატონი აკაკი ახლახან რედაქციაში საბავშვო ლექსებით გვეწვია. ჩვენი პატარების საოცარი სამყაროს გალამაზება სცადა პოეტმა, ღირსეულმა მამამ და ასევე ღირსეულმა ბაბუამ. მაშ ასე, გაეცანით აკაკი თევზაძის მიერ ნორჩებისათვის დაწერილ ლექსებს და წაუკითხეთ ისინი თქვენს პატარებს.*

**ბებია და ზურაბი**

სავსე საკუჭნაოდან
ქილა კომშის მურაბა,
გაიტანა მალულად
შავტუხელა ზურაბმა.
საკუჭნაო თავისი _
განა ვისმე სხვისია?!
ბებომ მაინც დატუქსა:
"ეს რა საკადრისია?
_მარტოდმარტომ შეჭამე?
ნუთუ სხვები არ გახსოვს?!"
_ "ბებო, აკი ამბობდი:
მე კბილები არ მაქვსო!"

**ჟუჟუ**

სათნო, ჭკვიანი გოგოა,
ლაღი და მოუსვენარი, _
ნათელ მზის დამწუნებელი,
ჰფარავდეს ძალი ზენარი.
დიდი იმედის მომცემი
ქართველი ქალი გვეზრდება,
იმისი ტკბილი ჭიკჭიკი
არასდროს არ მოგბეზრდებათ.
ჰგავს ფიქრით მოღლილ მწიგნობარს,
როცა წიგნებში ეფლობა,
ტოლ-მეგობრებსაც ასწავლის,
იფერებს მასწავლებლობას.
ამბობენ _ სკოლის თვალია,
რჩეულის ხვედრიც რგებია,
თუ მართლა კარგი გოგოა _
რატომ აწვალებს ბებიას?!

**მსუნაგი ბეწვია**

ქათმების დასი ქოთქოთებს,
ნამეტანს ცხარობს მამალი:
თავგასულ ტურას, დრო დადგა,
გამოვუძებნოთ "წამალი".
ხელი დაგვრია ერთიან,
ლამის მთლად გაგვაჩანაგოს,
ვინ მისცა ნება სუსნიას _
ფრინველთა ბედი განაგოს?!
გვიჯობს საქათმეს დარაჯად
რომ დავუყენოთ ბეწვია,
დღიურად ათ კვერცხს მივართმევთ,
მეტი რა უნდა _ ქეციანს?!
ყოველღამ ძილს ვერ დაგვიფრთხობს
ტურა წუწკი და მაცდური!..
ერთსულოვანი კრიახი
იყო ფრინველთა დასტური.
დღისით რომ მინდვრად საკვების
ძებნას იწყებდნენ ქათმები,
ბეწვია მსუქან წიწილებს
"უალერსებდა" თათებით.
და რა წამს დაიხელთებდა
მყისვე სანსლავდა წიწილას,
ერთხელაც ხარბმა პირიდან
სისხლი ვერ ჩამოიცილა.
დანაშაულზე წაასწრეს,
ღორმუცელობა უძრახეს,
ცოცხლად დასთხარეს თვალები
და წყალში გადაუძახეს.

**უცნაური შეკითხვა**

_ "საიდან გავჩნდი, მამი? _"
კითხულობს ლია _ ციდა; _
_ მამა დაფიქრდა წამით:
"საიდან შვილო? _ ციდან!"
_ "ო, აბა, ციდან როგორ?! _
ზეცის არცა სჩანს კიდე, _"
_"ღმერთმა ნანატრი გოგო
ჩამოგაყოლა გიდელს."
_ "ღმერთი ვინ არის?! _ გიდელი
რით ჩამოუშვა მაღლით?.."
_ "შვილო, ამგვარი ფიქრებით
ჯერ გონს ამაოდ დაღლი.
ოდეს ჭაღარა ჩემსავით
გამოგერევა თმაში,
აღარაფერი დაგრჩება
შეუცნობელი მაშინ".
ლია ფიქრებში წასული
და განუსჯელი სხვა დროს, _
ზის, გულში მალე გაზრდას და
მამისტოლობას ნატრობს.

**ანცი გიგო**

ხელთოფით რომ ხელში
აივანზე ცოცავ
და უწყინარ მტრედებს
უმოწყალოდ ხოცავ.
არ გრცხვენია, გიგო?!
რად ხარ ასე ანცი?
ამ შვიდობის მეკვლეს _
გაიმეტებს კაცი?!
ნისკარტით რომ მოაქვს
ზეთისხილის რტოა,
ამით გვამცნობს ქვეყნად
სამშვიდობო დროა.
არ გსმენია ტკბილი
შენ ღუღუნი მტრედის?
გულს რომ ლხენით ავსებს,
ვით ალერსი დედის.
დღეიდან არ ვესვრი,
დედიკონას ვფიცავ! _
თუ მშვიდობა მოაქვს,
თუ მშვიდობას იცავს!

**ცელქი მკერავი**

"შეხედეთ ამ დედოფალას
თვალებს ისე მორცხვად ნაბავს, _
უსათუოდ მოუხდება
საზაფხულო ჭრელი კაბა" _
ესა თქვა და დატრიალდა,
საქმეს მიჰყო ხელი ვერამ,
მოიმარჯვა მაკრატელი,
დასწვდა მამის ახალ პერანგს,
დაჭრა კარგი მკერავივით,
ძველი კაბა ჰქონდა თარგად,
გულის ჯიბეც გაუკეთა,
გულისპირიც ამოქარგა.
მამას სახლში დაბრუნებულს
ასკინკილით მიახარა:
_ "კაბა ჩემი თოჯინასი
ლამაზია, მამი, არა?!"
თუმც შეუქო ნახელავი,
წყენამ გული დაუსერა:
_ "თოჯინისთვის, შვილო, მითხარ:
ვინ ჭრის, აბა, ახალ პერანგს?!"
გოგო მშობლის შენიშვნაზე
სულ დაიბნა, კიდეც შერცხვა...
_ "ასეთ ქცევას შენ კი არა _
მოვუწონებ, კარგო, ვერც სხვას".
თავდახრილმა ჰკადრა რიდით:
"მაპატიებ, მამი, მჯერა,
ოღონდ შენ არ გამიბრაზდე
ხვალ გიყიდით ახალ პერანგს.

**ბესიკი**

დიდი ბიჭია დღეს იგი,
ბიჭი და მერე რა ბიჭი?!
ჭირიმე ჩვენი ბესიკის
მზისკენ გადგმული ნაბიჯის!
ჰგავს პირმშვენიერ უფლისწულს,
უფრო და უფრო მშვენდება,
იმის შემყურე კაცის გულს
წყვდიადიც გაუთენდება.

**ნათიას**

გამჩენმა შენი ვარსკვლავი
ტატნობს დაჰკიდა ჭაღივით
და კიდევ ერთი ქართველის
სისხლი სივრცეებს გაჰყივის.
ღმერთივით გოგო დადგები _
გამაქრობელი ბინდების,
ოცნების მერანს ფაფარზე
ქარივით ჩააფრინდები.
ვინ შემოგბედავს თვალშურთხას
წინაპრის სულის გინებას?!
სამშობლოს სიყვარულშიაც
ვერავინ შეგეცილება!
სხვა ხიბლი ახლავს შენს ღიმილს
და სულ სხვა ანდამატი აქვს...
მუდამ მზესავით ნათობდე,
ჩემო ძმისწულო, ნათია!

**ანთებული გულით გლოცავ!**

*თამთა ჯულაყიძეს*

შენ, ოცნების ბროლის კოშკო,
სასოებით ანაგებო,
მზის და მთვარის სადარებო
ოქრო გოგოვ, სანაქებო!..
ანთებული გულით გლოცავ,
შემოგევლოს შენი ბიძა, _
თავზე მეტად შეიყვარე
მშობლიური ცა და მიწა!

**მახარეს ჩივილი**

_ "დედა გიყვარს თუ მამა...
უფრო მეტად, მახარე?!"
როცა მეკითხებიან _
ნამდვილად არ მახარებს.
იგი შვილი, მშობელი,
ღვთისაგან შეირისხა _
ვინც საყვარელ დედ-მამას,
შვილს გაარჩევს შვილისგან.

**პატარა მხედარი**

გადააჯდება ხის ცხენზე
ფერდებს ჩაუხელს ქუსლებით,
ნამდვილ ტაიჭზე რომ იჯდეს _
ვერც ვერვინ ვერ გაუსწრებდით.
მიშვებული აქვს აღვირი
და თანაც ისე გაყვირის,
თითქოს ხმობს ქვეყნის საშველად
იერიქონის საყვირი.

**რჩევა ბეჯითი მოსწავლეს**

შენ არ გიჭის ამოცნობა
მაგალითის, ამოცანის...
და გიმადლის რვაოსნობას
კლასში ბევრი რვაოსანი.
უთენია სკოლის ეზოს
მხიარულად გადასერავ,
უქნარებმა დავალების
რომ მოასწრონ გადაწერა.
რვეულს უმალ იტაცებენ
და იწერენ ხარბად, ურცხვად...
შენ არ გიყვარს სიზარმაცე,
ნუ შეაჩვევ, კარგო, ნურც სხვას.
თუ შენს გვერდით გაისარჯონ,
შენთან ერთად ოფლი ღვარონ, _
ვინძლო, ხელი დახმარების
გაწვდენად არ დაიზარო.
მიიტანე რჩევა გულთან
და მომაპყარ წამით ყური,
გწამდეს _ მათ კარგს ვერ მოუტანს
ეგ დათვური სამსახური.



**სოსოსავით გიყვარდეთ**

*ჩემს შვილიშვილს სოსო ჩიტიას*

"ჩემი ტკბილი დედიკო
მირჩევნია ქვეყანას!" _
როცა ამბობს _ არ გეგონოთ
სოსო მართლა მკვეხარა.
ეს პატარა ამბავიც
კმარა ამის დასტურად:
ერთხელ ავად გაუხდა
დედა _ ის კი სასთუმალს.
აღარ მოშორებია,
ვით თვალისჩინს _ უვლიდა
და მშობლის გულს ავსებდა
სითბო-სიხარულითა.
ან რამდენჯერ მინახავს _
დედა რომ ფუსფუსებდა
საქმეებში გართული _
დახმარებას უწევდა.
ფიქრიანი ბიჭია,
გონიერი, გამგონე
და ოჯახის ავ-კარგი
მასაც ალხენს, აღონებს.
თქვენაც თუ გსურთ, კარგებო,
მუდამ კარგად, მხნედ იყოს _
სოსოსავით გიყვარდეთ
საყვარელი დედიკო.

**ციცქნია გია**

გია, გია ციცქნია,
კარგად რატომ არა ჭამ?!
სუფრის თავში მუდამ ხომ
ბიბი გიდგას დარაჯად.
სტყორცნი მოზრდილ ლუკმებს და მის
სკუპ-სკუპზე იცინი
და ლაქუცაც მადლობას
გიხდის კუდის ქიცინით.
შენ კი, ბრიყვო, კვეხნითა
მთელი კუთხე შეჰყარე:
"ვნახოთ _ ვის გეყოლებათ
ბიბისთანა მეკარე?!"

**ნორჩების სამადლობელი ნორა მამიდას**

მუდამდღე თავს დაგვტრიალებს,
წიგნს არ გვაშორებს წამითაც...
სადილად ტოლმა მოგვართვა,
ვახშამს უმზადებს მამითადს.
მორჩება... ნამცხვარს დაგვიცხობს, _
ველარ გავძღებით ჭამითა...
ვის ჰყავს ასეთი მზრუნველი
და საყვარელი მამიდა?!

**მამა და პატარა ანა**

სისხამი დილა გვეძახის,
მზემ პირი დაიბანაო;
თეოზე ფისოც პირს იბანს _
შენ რაღას უცდი, ანაო?!
არ გენატრება _ იხილო,
მამიკო გეთაყვანაო,
სოფლად ჯეჯილის კალთაში
ნიავი როგორ ნანაობს?!
ალბათ ვენახს სხლავს ბაბუა,
ლერწებსაც დასჭრა პწკალები, _
ჩვენს მოლოდინში ბებიას,
ეზოსკენ გაურბის თვალები.
წამოდექ, ნუ ჭირვეულობ! _
ან რატომ უნდა იავო?!.
ღამით რომ ჭამდი შოკოლადს _
სახე მთლად მოგთხუპნიაო.
ვარსკვლავთვალება გოგო ხარ,
საამო შესახედავი,
მაგრამ პირდაუბანელი
ვის ენახვები, ნეტავი?!

**აკაკი თევზაძე**

## სიხარულის გაზიარება

ჩემს ჯიბეში ტელეფონი აწკრიალდა ჩემი ქალიშვილი მირეკავს, სადა ხარ ჯემალი გელოდებაო. უკვე ბანკთან ვიყავი... არ გალოდინებ ახლავე მანდ ვიქნები-მეთქი.

საჩუქრის მომლოდინე ბავშვივით უმალ ხელჩანთაზე გადავიტანე მზერა. არ შევმცდარვარ, სიმინდის საწყაო ბათმანი და სახლში დართული შალის ძაფით მოქსოვილი ნაჭრისაგან შეკერილი ყაბალახი აღმოჩნდა. მომიბოდიშა, დაცრეცილიაო... კიდევ რამდენიმე ექსპონატს და ამ საქმეში მუდმივ თანადგომას დამპირდა.

მოვუბოდიშე უპატივცემულოდ გიშვებ-მეთქი... დათვალიერებას მორჩა, ჩამოჯდა, უბიდან მოკეცილი ფურცელი ამოიღო და ამ ბოლო დროს დაწერილი ორი ლექსი წამიკითხა.

სურვილი გამიჩნდა, ყველასათვის გამეზიარებინა ჩემი სიხარული. კარგი იქნება, ყველამ ასე გულთან მიიტანოს მუზეუმის შექმნის საკითხი და შეგვეხმიანოთ!

რედაქციას კი ბატონ ჯემალ ტაბიძის ორი ლექსიც მივაწოდე გამოსაქვეყნებლად.

**ეძღვნება მწერლებს**

ნუ მოკლავთ გმირებს, რათა მკითხველს
მოგგვაროთ ცრემლი,
ნუ მოკლავთ გმირებს, რადგან თვლით რომ
ფინალს უხდება.
ნუ მოკლავთ გმირებს, მშობელ მიწას
დანატრებულებს,
სატრფოს გარეშე, ქორწილების გადაუხდელად,
ნუ მოკლავთ გმირებს, გამარჯვების გემო
შეიგრძნონ
თუნდაც იმ ქვეყნად გაუნაღდოთ სულის
ცხონება.
და ნუ დაკრძალავთ ყვავილების ზღვაში
ჩაფლულებს,
ცოცხლები მაინც უფრო დიდხანს გვემახსოვრება,
ნუ მოკლავთ გმირებს, რეალობაც გვყოფნის
უგმირო,
თქვენს თხზულებებში გააგრძელონ
იქნებ ცხოვრება!

**ნანა**

იქნება ვინმემ მიმღეროს ნანა
და დამეძინოს დარდისგან დაღლილს,
მერე ვიღაცამ ვენახი გასხლას,
ვიღაცამ მწყერზე დაგეშოს ძაღლი.
ვიღაცამ თოვლში კვალოს ბილიკი,
ვინმემ გრიგალში ფანტოს ფერები,
მე თუკი ისევ გამეღვიძება,
უფრო სათუთად მოგეფერები.
ვიღაცა შეჰყვეს ციცაბო აღმართს,
ვიღაცამ ცეცხლში გაჭედოს რვალი,
ვიღაცამ ნისლში ჰპოვოს ნაპირი,
გადაარჩინოს იმედი ხვალის,
ვიღაცამ ცხარე ცრემლები ღვაროს,
ვიღაცამ კრიფოს თეთრი ვარდები,
მე თუკი ისევ გამეღვიძება,
უფრო ძალიან შემიყვარდები.

***გულნარა ცინცაძე***

*სამტრედიის ეთნოგრაფიული სახლის*
*მთავარი სპეციალისტი*

**ილია მეორეს!**

თქვენ ხართ იმედი უიმედობის
მოგეცეთ ძალა _ ერის შენდობის!
გადახდილი გაქვთ უფლისთვის ვალი,
ერის იმედო, იმედო ხვალის!

***

ვერ ვივიწყებ მე შენს კოცნას,
შენს ალერსს და მერე ლოცვას,
შენს ნისლიან თვალებს რა სჯობს,
ჩვენს სიყვარულს რომ დარაჯობს!
შენს თვალწამწამთა დასველება,
მერე მისი გახსენება,
მერე ჟინი, გახელება, ალმოდება,
მოლოდინი, კვლავ შეხვედრის
სიხარული, ჩუმ ჩურჩულში
გამხელილი სიყვარული.

**დღევანდელობა**

აზრი გაყოფილი,
ხალხი დაყოფილი,
ბევრი ბრაზიანი,
ცოტა კმაყოფილი.

***

ზოგისთვის დიდება
იაფად იყიდება,
განა რჩეულია,
გადარჩეულია!

***

მშრომელ კაცისთვის, ჭირიმე,
ცხოვრება გვიან მშვენდება,
ყველაზე ადრე იღვიძებს
და მაინც გვიან თენდება.

***მაია ცინცაძე***

სამტრედიის მაცნე



**მაქვს ცრემლების მარაგი**

არის ლალის თვალები და ოცნების ენძელა,
მზესთან შენადარები, გაზაფხულად შობილი,
მობიბინე ყანები ქარმა რომ ვერ მოცელა,
მივხვდი, დედა იცავდა, ძალზედ კეთილშობილი.
ცივი და უმძიმესი, მარმარილოს ლოდივით,
მომხვდა გულზე თვალები, ეჭვი რომ შემეპარა,
მე ვიდექი რწმენის ქვეშ, მტკიცე დედაბოძივით
და სიცოცხლის წადილი, სული კბილით მეკავა.
და კვლავადაც იღვიძებს, რწმენა გარდაუვალი,
მჯერა, მარად შიში მძლევს, გულს ხომ შიშის ჯერავდა
დამიამებს ტკივილებს, ნაკადულის ჩქერალი,
არ ვიქნები პირველი, გული რომ უღელავდა,
მხოლოდ წამით დავკარგავ, რაც ოცნებით მებადა.
გულში ისევ სურვილი გააღვიძებს ალალ ბედს,
გული, განა ამაოდ, მოთმინებით ღელავდა,
კვლავაც დაისადგურებს მზე ჩემში და ამანთებს,
მაქვს ცრემლების მარაგი, გული რომ მიკარნახებს,
ვიცი, ხალისს დავკარგავ, მზეს ვერ დავემდურები,
თუმც სიამის ქარცეცხლით დავიტირებ არტახებს,
მწამს, იმავე ხალისით მტერსაც ვუერთგულებდი.

**დავით ჩირგაძე**

***

შენ ხარ ჩემი დაწყვეტილი
ნერვები, რომელსაც
ვერასდროს გადავაბამ ერთმანეთს.
შენ ხარ სისხლი,
რომელსაც ვერავის გადავუსხამ.
შენ ხარ ის ქუჩა,
რომელზეც არასოდეს
ჩამოვივლი მე.
შენ ხარ შუალედი
დეკემბერსა და მეხუთე
სიმფონიას შორის.
შენ ხარ ცელსიუსი მინუსებში
და მე, ალბათ, უფრო ფარენჰეიტი.
შენ ხარ ღმერთი, რომელიც
ჩემი ოთახის
კუთხეში ცხოვრობს.
შენ ხარ სახლი შეშლილთა
და მე უკანასკნელი შეშლილი ამ სახლში!

***ბექა ჩანტლაძე***

**ქარის ცრემლი**

ქარი მოხვეტს სველ ფოთოლთა ქარავანს,
ჩაეკვრება ვით ჭაბუკი ქალთამზეს,
მტკვრის ტალღებზე მიმოაბნევს, გაფანტავს,
როგორც ყვავილს საპატარძლო ფატაზე.
ძველ თბილისის მოფერებით გართული,
ვით ვახტანგი ორთაჭალას დახედავს,
სად ხმატკბილი, სევდიანი ქართული
ყარაჩოღლის "მუხამბაზი" აჟღერდა.
ქარი მტკვართან მუსაიფით დაღლილი,
ნარიყალას თავს დაუკრავს ფრთხიალით,
სად ქართველთა სისხლი არის დაღვრილი,
მოიგონებს ადღეგრძელებს ფიალით.
მწველი ცრემლი ქარსაც ნუთუ მართლა სდის,
მტკვარს აჰყვება, ჩამოჰყვება კვნესის რად?
ღმერთო ჩემო, ნუთუ მკაცრი აქამდის,
ქარიც სტირის, თუ უბრალოდ მესიზმრა!

**ვნების კოცონი**

ზღვისფერ თვალებში ტალღები რითმობს,
მარჯნის ბაგეზე სურვილი ჰყვავის,
ჩამოქნილ სხეულს შემოსავს სითბო,
ვით მზის სხივები გაფეთქილ ყვავილს.
გადმოვფენ ვარდებს, ტიტებს მეწამულს,
სულში ზის დანტე, ფიქრში მარკესი,
ვფურცლავ ბაირონს, უკვე ფერწასულს,
ლექსსაც ქალივით უყვარს ალერსი.
ღაწვს დაგიკოცნი ცრემლებით ნაბანს,
გაგიშლი საწოლს ნამცვრევ ფოთოლზე,
შენი სხეულის ვისურვებ საბანს,
თუნდაც, რომ მერე დამწვან კოცონზე.

**მალხაზ ნიკოლეიშვილი**

## სტუმრად პოეტ ანზორ გეგუჩაძესთან

"ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის დახმარებითაც ადამიანებს ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, გამოვთქვამთ აზრებს, გრძნობებს, მაგრამ ენა არის არა მხოლოდ აზრის გამოხატვის ან ადამიანთა ურთიერთობის საშუალება: იგი უშუალოდ არის დაკავშირებული თვით აზრის ფორმირების პროცესთან" – წერდა ილია ჭავჭავაძე. "პირველად იყო სიტყვა" (იოანე 1.1.). სიტყვა დიდი ღვთიური ძალის მატარებელია. ქართული ენის უჩვეულო სილამაზეს იმთავითვე გრძნობდნენ ჩვენი მწერლები, პოეტები, ამიტომაც მრავალმა მოიმარჯვა კალამი და მისცა მის შინაგან "მეს" ფართო ასპარეზი, რათა ეთქვა თავისი სათქმელი.



ჩემი დღევანდელი რესპონდენტი კარგი კალმოსანია. ხშირად სევდიანი, გულმართალი, ცასავით ღრმა და მზესავით ამოუცნობია მისი პიროვნება, მისი გაგება მხოლოდ ერთეულებს შეუძლია. მან თავისი ლექსებით მათქმევინა რომ იგი ოქროს საწმისია წუთისოფლის მღელვარე მდინარეში.

ეს პოეტი ანზორ ზმანებაა (გეგუჩაძე), რომელიც ჩვენი რაიონის ერთ ლამაზ სოფელ გორმაღალში ცხოვრობს.

მას სახლში ვესტუმრე. დროსთან ჭიდილში დაღლილი მზიანი აივნებითა და კრამიტით დახურული მოკრძალებული ოდა წარმოსდგა ჩემ წინაშე, ემოცია გამეყინა და ფიქრებმა ძველ საქართველოში მამოგზაურა.

"აღარ წასულა ის ძველი ზეცა,
ძველი სივრცე და ძველი ამინდი,
მე ყველაფერი ეს ძველი მიყვარს,
მომნატრებია ძველი კრამიტი".

ერთი ემოცია მეორემ შეცვალა როცა გრძელ ეზოში ჩემსკენ მომავალი ჭარმაგი პოეტი დავინახე. ახოვანი, თმა შევერცხლილი დინჯად მოაბიჯებდა. საუბარი ეზოშივე გავაბით. ჩემი ცნობისმოყვარეობა რომ დაეკმაყოფილებინა, მან მის დაახლოებით სამ საუკუნოვან ოდაზე მიამბო. შემდეგ აივანზე.

"სხეულის საუბარი სიტყვაა, სულის საუბარი კი – ფიქრი. საუბრობს ხორცი, როცა ენა მეტყველებს და საუბრობს სული, როცა გონება ფიქრობს "თქვენთვის როგორც პოეტისათვის, რა დატვირთვა აქვს სიტყვას-მეთქი, ვკითხე. თავისი ლექსების კრებული გამომიტანა და გამაცნო თავისი სიტყვა. მან ახალგაზრდობიდანვე დაიწყო საკუთარი თავის შეცნობა და აირჩია პოეტური გზა. წერო სიმართლე ძნელია, მაგრამ უძლებს, ისეთი პერიოდიც დადგომია, რაღაც მნიშვნელოვანის თქმა სდომებია, მაგრამ არ უთქვია. "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა" ამ სიტყვებით შეგულიანებულს მამაცობა მეტად მოზღვავებია და უფრო გაბედულად უთქვამს სიმართლე.

კალამთან ერთად ფუნჯიც უჭრიდა. ხეზე კვეთაც არაჩვეულებრივად გამოსდის რასაც კედლებიდან მომზირალი ხეში გამოკვეთილი სახეები ადასტურებენ.

ბევრი ვისაუბრეთ ბევრი ვიმსჯელეთ და მომავლის სურვილებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მოვდივარ გზად და მის წიგნზე გაკეთებულ ერთ-ერთ რეცენზიას ვკითხულობ "პირველმა კრებულმა უხმაუროდ გაიკვლია გზა მკითხველისაკენ და მრავალ ოჯახში წიგნის თაროზე დაიდო ბინა რაც იმას ნიშნავს, რომ მკითხველი მას არაერთხელ დაუბრუნდება. ჭირთამთმენი, ნაკლისადმი შეურიგებელი, მოყვასის თანამგრძნობი, უადამიანობისგან გულნატკენი, ღრმად მორწმუნე და საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის არა მარტო მეოცნებე, გამრჯე პიროვნება. ასეთად წარმოსდგება ავტორი თავის ახალ ლექსთა კრებულში, რომელსაც მორიდებით სთავაზობს მკითხველს და წინასწარ უხდის მადლობას ყურადღებისთვის.

მე ვეთანხმები იმას, რომ კაცობრიობას ის აფერხებს, ადამიანები იმას კი არ უსმენენ, ვინც ჭკვიანია, არამედ იმას, ვინც ყველაზე ხმამაღლა ლაპარაკობს.

ადამიანს გონებისკენ სამი გზა აქვს: აზროვნება – ყველაზე კეთილი, მიბაძვა – ყველაზე ადვილი, გამოცდილება – ყველაზე ძნელი.

მოვდიოდი და მომყვებოდა მრავალი შთაბეჭდილება...







მოვდიოდი და მომყვებოდა ღამის ნიავი. მთვარის დანახვაზე გამახსენდა ერთი ბრძენი კაცის ნათქვამი: "ყოველ ადამიანს აქვს მთვარესავით გაუნათებელი ერთი მხარე, რომელსაც არავის არასდროს აჩვენებს".

***გოგიტა გიორგაძე***

## მოზაიკა



**ნიუ-იორკის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი საკათედრო ტაძარია.**

**თურქეთში ოფიციალური რელიგია არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 99.8% მუსლიმანია.**

**როდენის განთქმული "მოაზროვნის" მოდელი პროფესიონალი მოკრივე ჟან ბო გახლდათ.**

**ტბა ნიკარაგუა ერთადერთი მტკნარი წყლის რეზერვუარია მსოფლიოში, რომელშიც ზვიგენები ბინადრობენ.**

**საპლანეტთაშორისო ხომალდმა "ვენერა-13" (სურათზე) 1982 წლის 1 მარტს პლანეტა ვენერაზე ჭექა-ქუხილის ხმა დააფიქსირა. ეს პირველი ხმის ჩანაწერი იყო სხვა პლანეტაზე.**

**ესენის ოქროს მადონა დღემდე მოღწეული უძველესი ღვთისმშობლის ქანდაკებაა.**

**1906 წელს ოპერის ვარსკვლავი ენრიკო კარუზო ნიუ-იორკის "ცენტრალ პარკის" ზოოპარკში მაიმუნების გალიასთან უცნობი ქალისთვის ჩქმეტის გამო დააპატიმრეს.**

**ივანე მრისხანემ ყაზანის აღების აღსანიშნავად წითელ მოედანზე ვასილი ნეტარის ტაძარი ააგებინა.**

**მაია ჩიბურდანიძე ყველაზე ახალგაზრდა ქალი იყო, რომელსაც ოდესმე ქალთა მსოფლიოს საჭადრაკო ჩემპიონატში გაუმარჯვია.**

**ედვარდ პალმერი, მე-19 საუკუნის უტოპიური სოციალისტი, ფულის სრულ გაუქმებას** ქადაგებდა.

**მამუკა ძნელაძის მონატრება**



– ენით გამოუთქმელი მწუხარება დაგვეუფლა ყველას შენი უეცარი გარდაცვალებით, ჩვენო მამუკა, საოცრად თბილი, კეთილი მეგობარი იყავი. სიყვარულს უშურველად უზიარებდი გარშემო მყოფთ.

წახვედი და განუზომელი ტკივილი, ამოუვსები სიცარიელე დაგვიტოვე შენს მეგობრებს.

ალალი ცრემლით, სევდითა და სანთლებით მოგილოცავთ 27 წლის შესრულებას. უფალმა დაავანოს შენი სპეტაკი სული იქ, სადაც მართალნი და უცოდველნი განისვენებენ!

***მეგობრები: ლაშა ხუჭუა, გიორგი გვალია, სერგო კოკალეიშვილი, ლადო ნიკოლეიშვილი***

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან

**ზინაიდა ივანეს ასული ვასილჩენკოს**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ დამწუხრებულ ოჯახს.

---

ჩვენო ზინა, ძალიან დაგვწყვიტე გული. კეთილი, თბილი და კარგი ადამიანის სახით დარჩები ჩვენს გულებში მუდამ. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. იცოდე, არასოდეს დაგივიწყებთ.

## “ფალავანის” ბეჭდაუდებელი ფალავნები



სამტრედიის საჭიდაო სკოლის წარმატებებზე საუბარი ხშირად გვიწევს. ეს სფერო მუნიციპალიტეტის წარმატებების რიცხვს დღენიადაგ ამდიდრებს. საჭიდაო კლუბი “ფალავანის” მენეჯერი ზურაბ ახობაძე და სპეციალისტი ტარიელ კიზივაძე, ამჯერადაც წარმატებებზე საუბრობენ. როგორც გაირკვა, საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის მოასპარეზე ხუთმა სამტრედიელმა სპორტსმენმა კვლავ საპრიზო ადგილები მოიპოვა და მედლების ნუსხას კიდევ რამდენიმე შეჰმატა. თბილისში, სპორტკომპლექს “არენაში” გამართულ ჩემპიონატზე, 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში, პირველი ადგილის მფლობელი გიორგი ლეჟავა გახდა. ამ გამარჯვებით მან ევროპის და მსოფლიო პირველობაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. იგი 23-28 ივნისს ევროპის ჩემპიონატზე თურქეთში, ხოლო 11-17 აგვისტოს ბრაზილიაში გაემგზავრება. იგივე წონით კატეგორიაში მეორე ადგილის მფლობელიც სამტრედიელი ედემი ბოლქვაძეა. მეორე ადგილი 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიგა ძიგუამ დაიკავა, 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი მესამე ადგილის მფლობელი გია ავალიანი გახდა. შმაგი თოდუა მესამე ადგილს დაეპატრონა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

საჭიდაო კლუბ “ფალავანის” დირექტორმა, ირაკლი მელაშვილმა წარმატებები უსურვა მათ და აღნიშნა, “ჩვენი კლუბის წევრები პერსპექტიული სპორტსმენები არიან. სამომავლოდ დიდ წარმატებებს ვუწინასწარმეტყველებთ მათ.”

სამტრედიის გუნდს თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელები, ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანია ავარჯიშებენ. მათ სასახელოდაც უნდა ითქვას, რომ საპრიზო ადგილებისა და მედლების მიხედვით, სამტრედიის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში ლიდერია ქვეყნის მასშტაბით.

*თეა ბაზუნაშვილი*



ნახეთ, როგორ “დაიხმანა”,
გაიხადა სვიტერი,
აუსრულდა ოცნება და
გახდა ვიცე-სპიკერი.



დარბაზში ისე ჩამთვლიმა,
თვალი ვერაფერს მოვკარი,
როდესაც გამომეღვიძა,
სხვას ჰქონდა ჩემი ოსკარი.

## თავისუფლების ქანდაკება



თავისუფლების ქანდაკება ფრანგი ხალხის საჩუქარია ამერიკელებისთვის. ის მთელ მსოფლიოში აღიარებულ თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

თავისუფლების ქანდაკება ფრანგმა მოქანდაკემ, ფრედერიკ-ოგიუსტ ბარტოლდიმ შექმნა, რომელმაც მოდელად საკუთარი დედა გამოიყენა.

ქანდაკება 91 ტონის სიმძიმის სპილენძის ფურცლებისგან შედგება, რომლებიც რკინის უჟანგავ ჩარჩოზეა მიკრული.

გეგმის მიხედვით თავისუფლების ქანდაკება უნდა დაედგათ ეგვიპტეში სახელწოდებით “აზიის სინათლე”.

## ირა მიქაშავიძეს!

კდემა, რიდი და სინათლე სიყვარულისა, კაცთმოყვარეობისა.

მშვენიერი ქალბატონი, უაღრესად განათლებული, პროფესიონალი ექიმი, ღირსეული მოქალაქე, შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია.

ადამიანი, რომელიც მუდამ სხვის მსახურად და დარაჯად იდგა. როგორც თავად ამბობს, ცოტა არაა წლები, რომელიც განვლო, განსაკუთრებით მაშინ, “როცა ერთი ადამიანის ცხოვრებით არ გიცხოვრია, როცა სხვისი შვილებისთვის, მათ დედებთან ერთად ღამეები გითევია, პატარას ხელი ხელში ჩაგიდევს, მის სუნთქვას გულისფანცქალით აჰყოლიხარ და მუდარით სავსე თვალებში ჩაგიხედავს”.

იმ პატარას ხელებზე ზრუნვა და ფიქრია, დღეს თქვენს სახეზე აგრერიგად შუქმომფინარე. მადლობა უფალს, რომ წილად გვერგო ბედნიერება თქვენი შეხვედრისა და გაცნობისა.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო დიდებულო ქალბატონო!

*ნათელა გელაშვილი, მაყვალა ჩირგაძე, გულიკო გოგიტიძე,*
*ნათელა ჯიმშელეიშვილი, ქეთევან ჭელიძე*






**კახა კალაძეს!**

სამტრედიის რჩეულს, ვიცე-პრემიერს, კახა კალაძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ოჯახურ ბედნიერებას და წარმატებებს საზოგადოებრივ სარბიელზე!

*“სამტრედიის მაცნე”*

**ეკა სანიკიძეს!**

ჩვენო ეკა, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! გაზაფხულის სითბო, სიმშვენიერე, სინატიფე გაჰყოლოდეს შენს სავალ გზებს, ცხოვრების ყველა სიძნელე სიყვარულით გადაგელახოს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად კიდევ ბევრ ლამაზ თარიღს შეხვედროდე შენს ცხოვრებაში!

*“სამტრედიის მაცნე”*

**ბატონ ალეკო ბანძავას!**

85 წლის შესრულებას გილოცავთ. იხარეთ და იდღეგრძელეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

*ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირი*


რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა